შაბათი. 1918 წ. თებერვლის 27 (12) № 44
ყოველდღიური გაზეთი
ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.
ეროვნული ბიბლიოთეკა
შაბათი. 1918 წ. თებერვლის 27 (12) № 44

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უკანონოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე შემდეგნი განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხაზმენიშვნელური განცხადება თითოეული ზომით: 15×2=10 მანეთი, 20×2=13 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოიტანონ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დღეს:

### ცნობები:

ოსმალეთის დელეგაცია ტრაპიზონში ჯერ არ მისულა.—ოსმალეთის მთავრობა მოითხოვს ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქების დაცლას.—არდაგანის ოლქიდან ქრისტიანი მცხოვრებნი იხიზნებიან.—ამიერ კავკასიის მთავრობის შედგენა მიენდო ევ. გეგეჭკორს.

პეტროგრადთან მიმოსვლა შესწყდა; ხმებია იგი გერმანელებმა აიღესო.

### წერილები:

**მეთაური.** საფრთხე ახლოვდება.
**ა. ასათიანი.** ორი იდეოლოგია.
**რ. ინგილო.** რევოლუციური კონტროლი თუ სეიმი?
**ქართული პრესა.** როგორ ჰქმნიან ქართულ ჯარს.

**შიო მღვიმელი.** პანაშვიდი (ლექსი).

**ილ. აბაშიძე.** „ფაუსტი" ქართულ კლუბში.
**კორესპონდენცია.** ხევსურების ჩივილი.

---

კატო, გიგო და ნიკო ხახუტაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ დაკარგვას საყვარელ და დაუვიწყარ დის

**თამარ სიმონის ასულის გელიაშვილისას (ხახუტაშვილი)**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე (ახალციხის შესახვევი № 9) გამოსვენება ხუთშაბათს 1 მარტს დილის 10 საათზე, წმ. ნინოს ეკლესიაში და დაკრძალვა იქვე სასაფლაოზე.

2—1041—1

---

ღრმად დამწუხრებული ქვრივი გიორგი ალექსანდრეს ძე კორინთელი, შვილები: არჩილ, ლევანი, რევაზ, ქეთევან, ვარლამ, ეკატერინე, დიმიტრი, პავლე და შალვა გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ

**სოფიო (სონა) ივანე ფიცხელაურის ასულ კორინთელის**

უდროვოდ გარდაცვალებას.

დაკრძალვა—დღეს თებერვლის 27, ქ. დუშეთში.

1—1040—1

---

ღრმად დამწუხრებული და გულ დათუთქული შვილი არჩილ გიორგის ძე კორინთელი აუწყებს ნათესავებს, ნაცნობ მეგობრებს და ამხანაგებს ძვირფას და დაუვიწყარ დედის უდროვოდ გარდაცვალებას

**სონა კორინთელისას**

რომელიც მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა ქ. დუშეთში 24 ამ თვეს.

დასაფლავება მოხდება შაბათს, 27 თებერვალს, ქ. დუშეთში.

1—1039—1

---

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე და ნინო ივანეს ასული თუმანიშვილები შვილებით, ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვარი ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ძვირფას

**ტასო თუმანიშვილის ასულის**

დამარხვა მოხდება თებერვლის 28-ში ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, წირვის შემდეგ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

1—1045—1

---

დამწუხრებული დედა ეკატერინე ალექსის ასული, ძმები იაგორი და მიხეილი ივანეს ძე ქიმერიძეები, და ეკატერინა ივანეს ასული, სიძე ზაქარია იოსებისძე აბრამიშვილები შვილებით, ბიძა გაბრიელ ალექსის ძე ციციშვილი შვილებით, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ საშაბათს, თებერვლის 27 დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის საფლავზედ იმავე ეკლესიის ეზოში ტომსკის სატექნოლოგიო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტის

**ილია ივანეს ძე ქიმერიძის**

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 9 ნახ. საათზედ.

1—1042—1

---

**ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის** სასარგებლოდ მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

---

**„საქართველოს" კონტორა**

აცხადებს, რომ 20 თებერვლიდან გაზეთი ეღირება თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. ხოლო რკინის გზის სადგურებზე 35 კაპ.

---

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი**

იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ბინა). ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროის განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

---

პარასკევს, მარტის 2-ს სამეურნეო ბანკში დანიშნულია

**ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიის უბნის საუბნო კომიტეტების კრება**

თბილისის კომიტეტის ახალი არჩევნებისათვის.

---

## საფრთხე ახლოვდება

ცნობა მოვიდა—ოსმალეთის მთავრობა ბათომისა და ყარსის ოლქების დაცლას მოითხოვსო. ამიერ-კავკასია რუსეთის ნაწილს შეადგენს და რუსეთთან ჩვენ ამ პირობაზე შევთანხმდითო.

ოსმალეთს სერიოზულად მოუნდომებია დაეპატრონოს იმ მიწა-წყალს, რომელიც მათ ბოლშევიკებმა შეუთანხმეს. ის ამტკიცებს, რომ ეს მიწა-წყალი ბოლშევიკურ მთავრობის არც საკუთრებას შეადგენს და არც მის განკარგულებაში ყოფილა ოდესმე, როგორც სჩანს არაფერს ნიშნავს ოსმალეთისთვის.

ეს გასაკვირველი სრულიადაც არ არის. ბოლშევიკური ზავი ოსმალეთს არ ანიჭებს არაფერ უფლებას ამ მიწაზე, ვინაიდან ეს ზავი არ იყო ისეთი ზავი, რომელსაც იცნობს კულტურული კაცობრიობა და საერთაშორისო უფლება. ეს საზავო მოლაპარაკება იყო ნაქურდალი, ნაქურდალი ქონების საიდუმლოდ გაცემა და გაყიდვა. ასეთს მოლაპარაკებას, რასაკვირველია, არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს და მოკლებულია ყოველგვარ ზნეობრივ ღირებულებას.

ოსმალეთმა, რასაკვირველია, კარგად იცის, რომ ის ბათომსა და ბათომის ოლქს ვერ მიიღებს, მხოლოდ იმისთვის, რომ რუსეთის ბოლშევიკებმა ეს ისურვეს. მათ კარგად იციან, რომ ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკურ მთავრობას არავინ სცნობს, და მათ აგრეთვე ისიც იციან, რომ ბათომი და ბათომის ოლქი შეადგენს საქართველოს ეროვნული სხეულის განუყოფელს ნაწილს და მისი გაცემა თუ გაჩუქება არავის არ შეუძლიან, გარდა თვით ქართველი ერისა.

ოსმალეთის მთავრობა ბოლშევიკურ ზავს მხოლოდ ერთგვარ მიზეზად და ხელის მოსაკიდებელ საბუთად ხმარობს, თორემ მისი უფლებრივი უმნიშვნელობა და მორალური სიმდაბლე მან კარგად იცის.

თუ ოსმალეთი დაინახავს, რომ მას ამის ძალა შესწევს, ბათომისა და სხვა ოლქების და მთლად ამიერ-კავკასიის დაპატრონებას ისედაც მოინდომებდა და შეეცდებოდა. ბოლშევიკურმა გულუბრყვილობამ ამ მხრივ მას იქნება ერთგვარი მიზეზი მისცა და, შესაძლოა, მადა გაუღვიძა.

სანატრელი ზავის ნაცვლად ახალი ომის და ახალი განსაცდელის ბნელი აჩრდილი გვეჩვენება. საქართველო ვერ დასთმობს თავის სხეულის განუყოფელ ნაწილს და მხოლოდ ძალით შეუძლიანთ ის მას ჩამოსჭრან.

ამ ომის დაცვის საკითხმა ქართველი ერი სულიერად გააერთიანა.

ჩვენ უნდა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი და ამ სულიერ განწყობილების საფუძველზე გავაერთიანოთ და შევაკავშიროთ ყველა ეროვნული ძალები სამშობლო მიწა-წყლის და თავისუფლების დასაცავად.

ჩვენ უნდა მოვემზადოთ, რომ როგორც ოსმალეთი, ისე სხვებიც მოინდომებენ ისარგებლონ დღევანდელი ჩვენი სისუსტით და ამის გამო დაჩქარებით უნდა შევუდგეთ ჯარისა და ეროვნული მთავრობის შედგენას. მაგრამ რაც უნდა დრო გვიხელთონ და თუნდაც დროებით მთლად საქართველოც დაიჭირონ, ქართველი ერი უეჭველად იკმარებს თავის ძალას თავის უარყოფის საშინელი სენიდან, და გამთლიანებული ერი შესძლებს აღადგინოს და დაიცვას ეროვნული მთლიანობა და თავისუფლება.

ოსმალეთის პრეტენზიები მხოლოდ ხელსახელა აჩვენებს ამიერ-კავკასიაში უცხო ერთა და სახელმწიფოთა ბრძოლა-დავას, რაც მხოლოდ ადგილობრივ ერთა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებით ჩაქრებოდა.

დაჩქარებით წესრიგის აღდგენა, მტკიცე ჯარის შექმნა!

---

## ორი იდეოლოგია

ქართველი დემოკრატიის წინაშე ორი გარკვეული გზა აღინიშნა ამ რევოლუციის დროს. დემოკრატიული და სოციალისტური, რომელიც საბოლოოდ უთუოდ ბოლშევიკურ სახეს მიიღებს.

ასევე რუსეთშიც. რუსეთის რევოლუცია ბურჟუაზიული დემოკრატიის დროშის ქვეშ დაიწყო, მაგრამ სოციალისტურმა დემოკრატიამ ძლიერ მალე გამოსტაცა მას რევოლუციის მეთაურობის დროშა. ეს ახალი ხანა გარდამავალი, ბურჟუაზიულ-სოციალისტურ მენშევიზმით დაიწყო და ბუნებრივი განვითარებით ბოლშევიზმით დასრულდა. თუმცა ჩვენში ეს გარდამავალი დრო უფრო ხანგრძლივი გამოდგა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენში მენშევიკური რევოლუციონური იდეოლოგია კი არ იჩენს ასეთს ძალას, არამედ მენშევიკური პარტია, რომელსაც მეოთხედი საუკუნის ინტენსიური მუშაობა ზურგს უმაგრებს. ნოე ჟორდანიამ კარგად დაახასიათა სეიმის სათრიქვინო სიტყვაში სოციალისტური დემოკრატიის შემოქმედება—არსად გაგონილა რომ ერთი წლის განმავლობაში ხალხს უმთავრობით ეცხოვროს. მენშევიკურმა პარტიამ ძველის ნანგრევებზე ვერაფერი ახალი ვერ ააშენა. ძველი დაიმსხვრა და ახალი დემოკრატიული შენობა ჯერ არც-კი დაწყებულა.

ქართული დემოკრატია დიდხანს ვერ გასძლებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების ალყაფის კარებში. ის ან უნდა შევიდეს ამ შენობაში და შეუდგეს დემოკრატიული ცხოვრების დამყარებას, ან და კიდევ უნდა გაიჭრას ველად, სადაც მძვინვარებს ბნელი პოლიტიკური სტიქიონი და ბოლშევიკები შეუგნებელ მასსას სამოთხის ბედნიერებას ჰპირდებიან.

ბოლშევიკური რევოლუციონური იდეოლოგიას შორეული ნათესაობა თუ შერჩენია იმ ფრაქციულ ბოლშევიზმთან, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მეორე პარტიულ ყრილობის შემდეგ იახლება და ვითარდება. თამამად შეიძლება ითქვას რომ რუსეთის რევოლუცია წარმოშობდა ასეთს ბოლშევიზმს სრულებითაც რომ არ ჰყოლოდა მას სოციალ-დემოკრატიული პარტია ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციებით. ბოლშევიკური უკიდურესობა ყოველ რევოლუციას სჩვევია, ზოგს მეტად და ზოგს-კი ნაკლებად. თუ საფრანგეთის დიდი რევოლუციის მონტანიარები ბოლშევიკები იყვნენ უფრო პოლიტიკურ საკითხებში და სოციალისტურ თანასწორობის შესახებ მხოლოდ პლატონიურად ოცნებობდნენ, ისიც მხოლოდ ზოგიერთი იმათგანი; და თუ 1871 წ. პარიზის კომუნარები მალე დაამარცხა ვერსალში გახიზნულმა პარლამენტმა, რომელსაც მთელი საფრანგეთის დემოკრატია ემხრობოდა, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ საფრანგეთის დემოკრატიას უფრო მეტი ენერგია და პოლიტიკური შემოქმედება ჰქონდა დაგროვილი.

ევროპის დემოკრატია პოლიტიკური თავისუფლებისა და თანასწორობის დამყარებას ისახავდა რევოლუციის მიზნად. ის მხოლოდ უფლებრივ პრივილეგიებს ებრძოდა და სრულებითაც არ ეჭმეზდა სოციალურ ცხოვრების ყველა საფუძვლებს, ყველა საფუძვლებს. თავისუფლება, თანასწორობა, საკუთრება—აი გამოხატვა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ თავისი მიზანი ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში. ბოლშევიკები პოლიტიკური თავისუფლების დამყარებით არ კმაყოფილდებიან. მათ სურთ ამ რევოლუციის დროს პოლიტიკურ უთანასწორობასთან ერთად მოსპონ ყოველგვარი უთანასწორობა—ქონებრივი, პოლიტიკური და კულტურული. ისინი ებრძვიან არა მარტო პოლიტიკურს, არამედ ყოველგვარ ცენზს. მდიდარი, ღარიბი, უმეცარი თუ მეცნიერი, უნიჭო თუ ნიჭიერი—ყველა ერთნაირ მასალად ითვლება იმ წყობილების აშენებისათვის, რომელსაც ისინი ამყარებენ. ეს მოძრაობა ძველი დროის მონებისა და ნაგავს და საშუალო საუკუნის აჯანყებას უფრო მოგაგონებთ, ვინემ სენ-სიმონისა და მარქსის ფილოსოფიაზე, აღმოცენებულ მიმდინარეობას. თუმცა ძველი დროის ბოლშევიკებიც ისევე ხშირად იმოწმებდნენ ფილოსოფოს პლატონსა და ქრისტეს, როგორც ჩვენი ბოლშევიკები—მარქსსა და ენგელსს.

თანამედროვე სოციალური ცხოვრება ისე მძლავრად არის ფესვ გადგმული, რომ ის ჯერ ვერც ერთს რევოლუციას ვერ შეარყევს. მალე დავრწმუნდებით, რომ ბოლშევიკური ექსპერიმენტები კერძო საკუთრებას კი არ მოსპობენ, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებენ რუსეთში. დავინახავთ, რომ ბოლშევიკურ მოძრაობას შედეგად ის მოჰყვება, რომ რუსეთის მიწადმფლობელობაში დარჩენილი საზოგადოებრივი, სათემო მფლობელობა სრულიად მოისპობა და ბოლშევიკი მუჟიკი ძლიერ მტკიცედ დაეპატრონება, როგორც თავის, აგრეთვე აზნაურის და სხვათა მემამულეთა მიწებს. ბოლშევიკური ანარქიის მეორე ნაყოფს უკვე ახლავე ვხედავთ. მას მოჰყვა რუსეთის ხალხის ეკონომიურად განადგურება. ეკონომიური თანასწორობის დამყარებისთვის მათ თუ რამე გააკეთეს, ეს იქნება თანასწორობა სიღარიბის და სიღატაკის.

უფლებრივი ვითარება ხალხის ფსიხოლოგიურ ცხოვრებას ეყრდნობა და მისი შეცვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. საფრანგეთის და რუსე-

თის რევოლუციებმა გვაჩვენეს იმის მაგალითი, რომ შესაძლო ყოფილა დამით მთელი ერი მეფის ერთგული იყოს და დილით რესპუბლიკანელად გამოიღვიძოს. ეკონომიური ცხოვრება კი მრავალ თაობათა თანდათანობითი განვითარებით დამყარებულა. მასში გადახლართულია განუსაზღვრავი ბუნების ძალები, ხალხთა ენერგია და სულიერი შემოქმედება. როგორც არ შექმნილა, ისე არ გარდიქმნება ის ერთის დაკვრით.

წელიწადი შესრულდა რაც ჩვენი მენშევიკები ძველი წყობილების ნანგრევებზე დაბინავდნენ. არავინ იცის რამდენს ხანს ჰფიქრობენ ისინი ამ სასაფლაოზე დაყოვნებას. ერი ცოცხალი არსია და მას სასიცოცხლო ძალები ამოქმედებს. ის ხანგრძლივად ვერ ელოდება იმ მეთაურებს, რომელთაც ცხოვრების ხელმძღვანელობა არ შესწევთ და მხოლოდ მის შეჩერებას ემსახურებიან.

მენშევიკური შემოქმედების უუნარობა გასაგებია. სოციალისტური მიმდინარეობის მეთაურებს შემუშავებული აქვთ ბურჟუაზიული წყობილების დანგრევისა და განადგურების გეგმა. ხოლო ამ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენების წესი არც ერთს სოციალისტის იდეოლოგს არ შეუდგენია. თვით ბურჟუაზიული წყობილების შემდგომ ახალი, სოციალისტური წყობილების დამყარებაც მათ მეტად ბუნდოვანად აქვთ წარმოდგენილი. არ არის გასაკვირველი, რომ მათ ვერ ააშენონ დემოკრატიული წყობილება, რომლის დახსობა მათ მიზნად აქვთ დასახული.

დემოკრატიული წყობილების შენება ჯერ კიდევ არ დაუწყია ქართველ ერს. მისი მეთაურები ერთი წელიწადია, ძველი წყობილების ნანგრევებზე ვარჯიშობენ და თავს იქცევენ. მათ ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ წინ და ამ ნაბიჯს მათ ცხოვრება მალე იძულებით გადაადგმევინებს. თუ ცხოვრების მუჯლუგუნი მათ მარჯვნით გადასვრის, ისინი იძულებული იქმნებიან თავის ხელით აქეთონ ის, რასაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა მოითხოვს და სანამ არ აშენდება ჩვენს სამშობლოში ახალი, დემოკრატიული წყობილება, დაივიწყონ თავისი სოციალისტური ოცნებები და დაპირებანი.

მაგრამ სოციალისტების ბუნება ნგრევის ინსტინქტს აქვს დაპყრობილი და საეჭვოა მათ დემოკრატიულ ცხოვრების შენ მუშაობას მოჰკიდონ ხელი, როდესაც მათ მარცხნით ბოლშევიკები ეპატიჟებიან რევოლუციის კიდევ უფრო გასაღრმავებლად, ე. ი. ძველი პოლიტიკური წყობილების დანგრევის შემდეგ სოციალური ცხოვრების ყველა საფუძვლების გასანადგურებლად.

თუ ჩვენი სოციალ-დემოკრატია დროზე დაადგა პირველ გზას, მთელი ქართველი ერი გაერთიანდება დემოკრატიული აღმშენებლობის ასპარეზზე და მით უზრუნველყოფილი იქნება მისი პოლიტიკურ-ეკონომიური ზრდა-განვითარება.

მაგრამ ამისთვის საჭირო იქნება, რომ სოციალ-დემოკრატიამ გადალახოს ვიწრო კლასიური, ვიწრო პარტიული და სექტანტური სულისკვეთება...

და თუ მენშევიკებმა ეს ვერ შესძლეს, რევოლუციისა და ანარქიის ცეცხლი მალე გაადნობს მათ უმოქმედო, უმოძრავო, გაყინულ პოლიტიკას და უკვე აღმოცენებული ბნელი სტიქიონი საშინელი ანარქიის ალად მოევლება მთელს საქართველოს. სახელით მენშევიკური მასსა ბოლშევიკური გახდება საქმით და მისწრაფებით.

საერთო დემოკრატიული პლატფორმა, ეროვნული აღმშენებლობის დაწყება, ან და რევოლუციის „გაღრმავების“ კიდევ განახლება, კიდევ ნგრევა და ანარქია—ეს ორი გზა აქვს ქართულ სოციალ-დემოკრატიას.

ა. ახათიანი.

## რევოლუციური კონტროლი თუ სეიმი?

რევოლუცია, როგორც ამნაირი, ნგრევის პროცესია უმეტესად. სოციალ-პოლიტიკურ გარდაქმნის პირველი ხანა იმით ხასიათდება, რომ ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი უეცრად ან თანდათანობით იშლება და ძალა-უფლება გადადის ახალ რევოლუციურ ორგანოთა ხელში.

როგორც ვიცით, შარშანდელ 25 თებერვლის აჯანყების შემდეგ ჯერ პეტერბურგში და მერე რუსეთის სხვა ქალაქებშიაც შესდგა, ეგრედ წოდებული, მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოები, რომელთაც თავს იდვეს სახელმწიფო მართვა-გამგებლობა და რევოლუციური წეს-რიგის დამყარება. ოფიციალად მოწყობილი მთავრობანი იყვნენ და დღესაც არიან მხოლოდ აღმასრულებელნი დასახელებულ საბჭოთა სურვილებისა. ზედ-მეტია იმას მტკიცება, რომ სახელმწიფოს აპარატის ხელთ გდება რევოლუციურ ხალხის მიერ უზრუნველ ჰყოფს რევოლუციის განვითარებასა და დამკვიდრებას, ამიტომ ეს მოვლენა თანაგრძნობის მეტს არაფერს უნდა იწვევდეს რევოლუციის მომხრეთა შორის; მაგრამ იბადება კითხვა: რა ხნის განმავლობაში უნდა ეწეოდენ ფუნქციებს ამბოხების მიერ წარმოშობილი დაწესებულებანი? რა სახისა უნდა იყვეს ის უფლება მოსილი ორგანო, რომელიც დაეპატრონება რევოლუციის სამკვიდრებელს?

რუსეთის რევოლუცია რომ ნორმალად განვითარებულიყო და დასწყისშივე არ მიეღო ბუნტარულ-სტიქიური ხასიათი, რასაკვირველია, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით შეკრებილ დამფუძნებელ კრებას გადაეცემოდა სახელმწიფოს უზენაესი მართვა-გამგეობა. გასულ წლის ოქტომბრის კატასტროფა რომ არ მომხდარიყო და ბოლშევიკ-სოციალდემოკრატების განუსაზღვრელი დიქტატურა არ დამყარებულიყო, ათასი ჯურის რევოლუციურ-სოციალისტური საბჭოები ადგილს დაუთმობდენ დამფუძნებელ კრების მიერ ნდობით აღჭურვილ მთავრობას. რევოლუციის სტიქიონში აღმოცენებულ ორგანოთა მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ გაამაგროს და დაამკვიდროს სოციალ ცხოვრების ახალი ფორმები და აღმოფხვრას ყოველი საშუალება ძველი წყობილების რესტავრაციისა. მაგრამ რევოლუციურ მმართველობის პროცესს მუდმივობას და შეურყევლობას ვერ მივაკუთვნებთ. მათი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოცილება იწყება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს სათავეში დგება ხალხის ნებისყოფის გამომხატველი დაწესებულება.

რევოლუციის ბუნებრივი დაბოლოება რუსეთში ვერ მოხდა. რუსეთის ცენტრში უკიდურეს სოციალისტების ხიშტებზე აგებული დამფუძნებელი კრება პერიფერიებიდ მიეკედლა და აქ, ამიერ-კავკასიაში, სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების ფილიალ განყოფილებად მოგვევლინა. ამიერ-კავკასიის სეიმი ჩვენ ხელოვნურად შექმნილ დაწესებულებად მიგვაჩნია, ამიტომ მისი პოპულიარიზაციით მკითხველი არ მოგვიწყენია, მაგრამ მასთანავე ანგარიშს ვუწევთ იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო პირობებმა ამიერ-კავკასიის საკითხი მწვავედ დასვა და, მაშასადამე, საჭირო იყო დაუყოვნებლივ ჯერ-ჯერობით სეიმით, როგორც ერთად-ერთ დაწესებულებით, რომლის საპიროება კავკასიის საერთო, როგორც პოლიტიკური, ისევე საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ყოველს შემთხვევაში, სეიმი მოწვეულია დემოკრატიული ოთხწევრიან საარჩევნო სისტემის საშუალებით და, ფრონტის საარჩევნო ოლქის დეპუტატების გამონაკლისით, თითქმის გამოჰხატავს ამომრჩეველ მკვიდრთა სურვილებს. რაკი ამიერ-კავკასიის გადამიჯვნის საკითხი დღეს-დღეობით გადაიდო და მოქმედება და ცხოვრება გვიხდება საერთო ფარგლებში, სეიმის არსებობაც შესაწყნარებელი ხდება ამ საერთო თვალსაზრისით. მან ითავა პირველ-ხარისხოვან საკითხთა გადაწყვეტა: მიიღო ოსმალეთის წინადადება ზავის დამყარების შესახებ და ამ აქტით აღიარა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა რუსეთისაგან; იგივე ზრუნავს ახალი მთავრობის შედგენაზე. ზემო მოყვანილიდანაც ცხადია, რომ სეიმი შესდგომია დამფუძნებელ მუშაობას ფართე სახელმწიფოებრივ მასშტაბით. შემდგომ სეიმის მუშაობა გადავა და დანაწილდება ამიერ-კავკასიაში მოსახლე ერთა პარლამენტებში.

წესწყობილების გამოცხადება, ზავის შეკვრა და მთავრობის კონსტრუქცია შეუძლიან განსაკუთრებით იმ დაწესებულებას, რომელსაც ხალხი „ჩუმი თანხმობით“ მაინც მიაკუთვნებს დამფუძნებელ მუშაობას. აქედან უკვე იწყება ახალი ხანა—რევოლუციურ შემოქმედებით მუშაობისა. რევოლუციის სათავეში შემდგარ ორგანოთა მისსია დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. დეპუტატ გიორგი გვაზავამ ეს ზედ-დულება გარკვევით გამოსთქვა სეიმის პირველ კრებაზე, მაგრამ დარბაზის იმ ადგილებიდან, სადაც მოთავსებულიყვნენ საბჭოები, ცენტრები და კომიტეტები განსვენებული მხედრობისა, ისეთი აურ-ზაური ასტყდა, რომ სეიმმა ველარ გაბედა ამ საგანზე კამათის გაგრძობა. ეს მოვლენა ადვილი გასაგებია, რადგანაც ცნობილია მთავრობის სავარძლების მაგნეტიური თვისება... აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ უკანასკნელ დროს საბჭოების ხელშეუხლებლობას იცავს სოციალდემოკრატების, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მთავრობის ოფიციალი გაზეთი. ბევრი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც „ერთობა“ მოუწოდებდა ამიერ-კავკასიის დემოკრატიას მხარი დაეჭირა სეიმისათვის, როგორც ერთად-ერთ კანონმდებელ ორგანოსათვის, რომლის ხელთ უნდა გადასულიყო მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება. სეიმის მოწინააღმდეგებს კონტრ-რევოლუციონერებადაც კი ჰნათლავდენ „ერთობელები“, მაგრამ სეიმის გახსნისთანავე მათ მყისვე იცვალეს აზრი და დღეს ცენტრისა და საბჭოების საჭიროებას ჰქადაგებენ, ვითარცა რევოლუციის საკანტროლო დაწესებულებისა. „ერთობა“ სწერს: „სულ სხვაა რევოლუციონური ცენტრი... ის რევოლუციის პირმშო შვილია, რევოლუციონურ კლასთა ნება-სურვილების გამომხატველია“ და ამიტომ, გაზეთის აზრით, სეიმის ყურისმგდებლობა უნდა იკისროს. „მუსავატ“-ის ორიოდე ენერგიული გამოსვლა სეიმში საკმარისი ყოფილა, რომ მენშევიკებს დავითარი დაჰპენოდათ და თვის მიერ მოწვეულ პარლამენტის წინააღმდეგ გაელაშქრათ. „რამდენადაც სერიოზული იქნება სეიმის შეცდომა, იმდენად მედგარი უნდა იყოს ცენტრის ბრძოლა“, ჰქადაგებს „ერთობა“. ამ აგიტაციამ ნაყოფიც გამოიღო: როგორც მოგეხსენებათ, სეიმის პირველი „შეცდომა“ კიდევაც გამოიხატა იმაში, რომ მან „მუსსავატის“ წინადადებით უქვე შეიტანა გაქვეყნებულ უწყლონების დეპუტატების მანდატებში, და რევოლუციის პირმშო შვილმაც“, ალბათ, „ერთობის“ ზეგავლენით, არ დაიყოვნა ბრძოლის გამოცხადება სეიმთან: „ცენტრმა“ ცხარე პროტესტი შეუთვალა სეიმს და მისი დადგენილება ფრონტის საარჩევნო ოლქის შესახებ უკანონოდ ჩასთვალა. რევოლუციურ კონტროლის დებიუტი ჯერ ხნობით ამ სახით მოგვევლინა, მაგრამ, ვინ უწყის, თუ „მუსსავატის“ „ჯიუტობა“ გაგრძელდა, როგორი შეიცვლება „ერთობის“ მიერ ნაკარნახევი ბრძოლის მეთოდები და რა შედეგები ექნება ამას „სეიმის ავტორიტეტისათვის“...

რ. ინგილო

## ქართული პრესა

**როგორ მქმნიან ქართულ ჯარს**

საგარეო და საშინაო მდგომარეობა გამწვავდა. სამშობლო მიწა-წყლისა და თავისუფლების დასაცავად ქართველობამ იარაღი უნდა აისხას. ასეთმა საფრთხემ ჩვენი მთავრობაც აიძულა სამჯერ გაუქმებული მობილიზაცია ხელ ახლა გამოეცხადებინათ. „ერთობა“ კი ჰკითხულობს:

„რას წარმოადგენს მუდმივი ჯარი?

ყველა სოციალ-დემოკრატი ამაზე დაუყონებლივ გიპასუხებთ, რომ მუდმივი ჯარი—ეს ერთი იმ ბოროტებათაგანია, რომელიც თანდაყოლილი აქვს ბურჟუაზიულ წყობილებას. მუდმივი ჯარი, ყაზარმებში ჩამწყვდეულ ხალხის შვილებისაგან შემდგარი, ბოლოს და ბოლოს, ამ ხალხის, დემოკრატიის წინააღმდეგ მიდის და მისი შეწუხება შევიწროებების უმთავრეს იარაღათ იქცევა.

გაბატონებული კლასები მას თავის მიზნებისთვის იყენებენ და ასე ხალხის დამორჩილებას თვით მასივე შვილების საშუალებით ახერხებენ.

დემოკრატია ამიტომ წინააღმდეგი იყო და არის მუდმივი ჯარის არსებობის“.

სანამდის უნდა გაგრძელდეს ეს კომედია. გარედან ჩვენს სამშობლოს შუ ზე გაკვეთას უპირებენ და შინაური ანარქია მას ანადგურებს. ყველა მიმართულებამ და ყველა პარტიამ აუცილებელ საჭიროებად დაინახა სამხედრო ძალის შექმნა ასეთის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. მობილიზაცია მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა და მენშევიკური კომიტეტები ხალხს იარაღისკენ მოუწოდებენ. მთავრობის გაზეთი „ერთობა“ კი ყოველ დღე იმის მტკიცებაშია, რომ რეგულიარული ჯარები დემოკრატიის მტერია და მის დასაღუპავად არის გაჩენილიო.

## რუსეთის ამბები

**პროფესორები ქუჩებში სამუშაოდ**

პეტროგრადში თოვლის გასაწმენდად გაიწვიეს აკადემიკოსები და პროფესორები. პირველ დღეებში მუშაობდნენ სამხატვრო აკადემიის წევრები ვიზელი, ისაკოვი, ალბიცკი, ბეკლემიშევი და სხ. მალე გაიწვევენ ლ. მენუასაც და სხ.

**კერენსკი**

კერენსკი ქრისტიანიით პარიზში მიემგზავრება.

**რუსების წამოსვლა საფრანგეთიდან**

რუსეთის ჯარები ბრუნდებიან საფრანგეთიდან ზღვით ბრუნდებიან მურმანსკამდე.

**საპატრიარქო სალაროს გაძარცვა კრემლში**

კრიმში გაძარცვეს საპატრიარქო სალარო, სიდანაც წაღებულია მრავალი ისტორიული ნივთები და საუნჯე მართლმადიდებელ ეკლესიისა.

წაღებულია ნივთები და სამოსელნი მოოჭვილნი და მოსევადებული ბრილიანტებით, ალმასებით, მარგალიტებით, ზურმუხტებით, საფირონით, ლალით და სხვა ძვირფასსი ქვებით. წაღებულია მოოქროვილი და მსხვილი ბრილიანტებით შექედილი სახარება, რომელშიც ამ ათი წლის წინედ ამერიკელები 2 მილიონ მანეთს აძლევდნენ. მეორე წაღებული სახარება 500 მსხვილი ქვით შეჭედილი ჰღირდა მილიონი მანეთი. გატაცილია 1648 წელს დაბეჭდილი სახარებაც. დაკარგულია: ბრილიანტებით შექედილი ოქროს ბარძიმ-ფეშხუმი, დაფარნები სარტყლები, ხატები და სხ. ვერცხლეულ შესამოსლისთვის აუძვრიათ ძვირფასი ქვები და ბრილიანტები. მარტო ოქრო წაღებულია 12 ფუთი ზარალი უდრის 30 მილიონ მანეთს. მიღებულია ზომები ქურდების აღმოსაჩენად.

**გერმანული პრესა ბოლშევიკების შესახებ**

„Tag. K.“ გერმანელ იმპერიალისტების ორგანოს ერთ-ერთ მეთაურში, („ბრესტლიტოვსკში“) სწერს: „კუჰლმანი და ჩერნინი ბრესტლიტოვსკიდან ბერლინში დაბრუნდნენ იმის გამოსარკვევად ღირს თუ არა მოლაპარაკების გაგრძელება, რომელიც რევოლუციურ მოძრაობას იწვევს და ცენტრალ სახელმწიფოებს უფრო მეტ საფრთხეს უმზადებს ვიდრე ომი რუსეთთან, ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ იმ მთავრობასთან, რომელიც ტერორს ეყრდნობა, რომელსაც ზურგს უმაგრებს სატახტო ქალაქის ანარქისტული პროლეტარიატი, და რომელსაც მენშევიკი სოციალ-დემოკრატებიც კი ჩამოშორდნენ. ბოლშევიკებმა ცარცვაგლეჯით და ტაციაობით მთლად დაშალეს სახელმწიფოებრივი წესრიგი, მიითვისეს ბანკები, მრეწველობა და გაზეთები, განდევნეს ზარბაზნების სროლით რუს ერის იმედი დამფუძნებელი კრება, სცარცვავენ ქვეყანას. და ყოველგვარ ექსცესებს სათავეში უდგანან. ალბად ამ მთავრობის დამხობა მალე აუცილებელი შეიქმნება. ლენინს და ტროცკის არ ჰსურთ ისეთი ზავი, რომელიც მათ სახრჩობელას განუმზადებთ ამიტომ ისინი მთელს ქვეყანაზე რევოლუციურ მოძრაობას გამოსაწვევად იბრძვიან. ამის მიღწევა მათ მერინავ ბარათებით ჰსურთ. საკვირველია ჩვენი მოლაპარაკება; მოლაპარაკება გვიხდება ნამდვილ ანარქისტებსა და კომუნისტებთან, რომლებსაც თვით შეთანხმების მთავრობებიც კი არ სცნობენ.

## ა. კერენსკის ხეტიალი

რუსეთის რევოლუციონურ მთავრობის ყოფილ პრემიერს, უხდება ხეტიალი და მრავალ საშიშროების განცდა. კერენსკი ბოლო დღეებში იმყოფებოდა. ნორვეგიაში, გუშინდელმა დეპეშამ კი გვამცნო, რომ ახლა ქრისტიანიით პარიზს მიემგზავრება.

აი სურათი კერენსკის ყოფისა, დევნობისთვის შემდეგ: თავის ადიუტანტ კოვანკოსთან ერთად, დევნობისთვეში დასტოვა გატჩინის სასახლე, შოფერის ტანისამოსში, ბნელი სათვალეებით მოტორზე გაემგზავრა ლუგაში. აქ დაჰყო რამდენიმე დღე და ვაივაგლახით მიაღწია ტაგანროგს, საიდანაც სცდილობდა დონამდე ჩაღწია. კერენსკი ჩავიდა დონში, მაგრამ ანგარიშებში მოსტყუვდა. ყაზახობამ იცნო იგი რუსეთის ანარქიის მეთაურად, ხოლო მის ბელადობამ თავის საქმეებთან ახლოსაც არ გაიკარა. გიორგობისთვის ბოლო რიცხვებში დასტოვა დონი და მივიდა პეტროგრადს. აქედან მშვიდობიანად გადალახა ფინეთის საზღვარი, ხოლო თეთრ კუნძულის შემდეგ იძულებული გახდა, ხშირად გადაეცვა ტანისამოსი და ახალ-ახალი ნიღაბით ევლო. მრავალი ხერხით და ახალ-ახალ საფრთხეების განცდით მიაღწია ტამერფორს, სადაც სცხოვრობდა, სამოქალაქო ომის დაწყებამდე. ბოლშევიკებმა როგორც იყო გაიგეს მისი ფინეთში დაბანება და სწრაფად აფრინეს მისკენ იფრინდაშიკრიკები. იგინი მოგროვდნენ ტერიოკში და არ დარჩენიათ გაუჩხრეკლად არც ერთი კუნძული. ამ ჟამად, კერენსკი თავის თავგანწირულ მეგობრებთან ერთად ეძიებდა ახალ გზებს შვეცია - ნორვეგისაკენ. ნახევართვის შემდეგ როგორც იყო დასტოვა ფინეთი და ახალ საფრთხეში გაებვია.

სწორედ ამ დროს იფეთქა ფინეთში ახალ ამბოხების ცეცხლმა, სწორედ ამ დღეებში მოვიდა წითელ გვარდიის პირველ გამარჯვების ცნობები. ფინეთიდან შვედურ საზღვრამდე მან მრავალი საფრთხე გამოიარა, ვინაობის საბუთის უქონლობით.

ხმები იყო, რომ წითელ-გვარდიამ დაიჭირა ყველა ნავთსადგურები ვიდრე ბოტნიურ სრუტემდე და ტორნეომდეო, ამ რიგად, კერენსკის გზა ჩამოუჭრეს. მინისტრის საგონებელს შეადგენდა ახალ გზის ძებნა და გამორჩევა. ხანგრძლივ თათბირის შემდეგ, მან ახალ იმედათ დაისახა არხანგელის ნავთსადგური. იანვრის შუა რიცხვებში გაემართა ამ საბედისწერო გზისკენ. აქ მას განუცდია ზღაპრული საშინელება და სიძნელე, ვარელიის გზიდან კი მგზავრობა ცხენებით მოუხდა. არხანგელიდან მას შეხვდა დასავლეთ ევროპაში მიმავალი ორთქლმავალი, რომელმაც კოლის ნახევარ კუნძულამდე მიიყვანა. აქედან ნორვეგია შორს აღარ არის და ახალი იმედით სავსე ყოფილი პრემიერი ქრისტიანიას მივიდა.

## წერეთელი რუსეთის ამბების შესახებ.

25 ოქტომბრის გადატრიალების მეორე დღესვე მე ვეკითხებოდი ჩემს თავს, თუ რა ძალას ეყრდნობა ბოლშევიკების მთავრობა. სინამდვილე იძლეოდა მხოლოდ ერთ პასუხს. ბოლშევიკებს გამარჯვება მიანიჭა და ისინი ეყრდნობიან იმ გარემოებას, რომ განაწამებ მასსას, გლეხებს, მუშებს და ჯარისკაცებს აღუთქვეს ყველაფერი, მხოლოდ სიტყვით; საქმით კი აკეთებდენ იმას, რაც უფრო ადვილი საკეთებელი იყო და ნაკლებ წინააღმდეგობას იწვევდა. იგი ეყრდნობა ამ მასსის შეუგნებლობას, ბოლშევიკების მთავრობამ აღუთქვა მასსას ზავის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და თავის საზავო პოლიტიკა საერთაშორისო პროლეტარიატის პოლიტიკათ მონათლა. სასწორზე მთელი რუსეთი იყო გამოტანილი. მისი ბედი დამოკიდებული შეიქმნა იმაზე, თუ რამდენად მალე მოხდებოდა სოციალისტური რევოლუცია ევროპაში. მაგრამ ბოლშევიკების მთავრობამ საგარეო პოლიტიკაში უარჰყო დემოკრატიული პრინციპები და ამით საქმით უარი განაცხადა დანაპირების შესრულებაზე. ფრონტი გაშიშვლდა საზავო მოლაპარაკების დაწყებინებისთანავე და ბოლშევიკების მთავრობას არავითარი ზომები არ მიუღია, რომ შეეჩერებია ჯარისკაცები საზღვრების დასაცავად. პირიქით, ისინი თავის პოლიტიკით ხელს უწყობდენ კიდეც ამ მოვლენას. ევროპის პროლეტარიატი ბრესტიდან ელოდა იმ პრინციპებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს რუსეთის რევოლუციამ ამ პროლეტარიატისაგან მიიღო. საჭირო იყო ამ პრინციპების განხორციელება აქ, საჭირო იყო სოციალისტური რევოლუციის განმტკიცება და მაშინ ევროპის პროლეტარიატი დაუჭერდა მხარს ამ პრინციპებს. აქ გამოაცხადეს სოციალისტური რევოლუცია და როგორც პირველი საფეხური მისი განხორციელებისა, დააწესეს მუშათა კანტროლი. აქ აღმოჩნდა, რომ თვით შეგნებული ნაწილი მუშათა კლასისა არ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობას. შრომის სამინისტროს კომისარმა შლიაპნიკოვმა მიმართა მოწოდებით მუშებს არ გამოეცხადებიათ გაფიცვა სოციალისტურ მთავრობის წინააღმდეგ. მუშათა კანტროლის დაწესებით გვერდი აუხვიეს გლეხობას, რომელიც არა ნაკლებ დაინტერესებულია წარმოების მოწესრიგებაში, მაგრამ მაინც საჭირო შეიქმნა მუშებისადმი ხვეწნა-მუდარა. გამოუშვეს მეორე მოწოდებაც,—არ მოეთხოვათ ხელფასის დაუსრულებელი მომატება, მაგრამ ეს მოწოდება დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. და იძულებული შეიქნენ მიეღოთ ენერგიული, მაგრამ სრულებითაც არა სოციალისტური ზომები. მათ დააწყეს ქარხნების ერთი მეორეზე დახურვა და, რომ დათხოვილი მუშები არ აემხედრებიათ თავის წინააღმდეგ მათ მაინც აძლევდენ ხელფასს, თუმცა ისინი არ მუშაობდენ. ამნაირათ, ეს მუშები გადააქციეს სახელმწიფოს პენსიონერებათ. საჭირო იყო ფული და ბოლშევიკების მთავრობამაც გაძლიერა ქაღალდის ფულის მოჭრა. თვით მოწინავე მუშებიც ვერ აღმოჩნდენ მომზადებული კანტროლის განსახორციელებლათ. მთავრობამ გამოსცა ინსტრუქცია, რომლის ძალითაც კანტროლის საქმეს აწესრიგებდენ მუშები და ტექნიკური პერსონალი (ინჟინერები, ტეხნიკები და სხვა და სხვა დარგის ხელოსნები), მაგრამ მათ დაავიწყდათ მესამე ფუნქცია—კომერციული. და ამ ფუნქციის შემსრულებელი მათ არ დაუსახელებიათ. ამიტომ, ცხადია, კანტროლის საქმეც ვერ წავიდა კარგად. და როცა ლენინს ეკითხებოდენ,—თუ რა იყო ამის მიზეზი, იგი უპასუხებდა: ეს საზოგადოთ ძნელი საქმეა, შესაძლებელია შეცდომები, მაგრამ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ საქმის კეთებათ.

ტროცკი მშვენიერ სიტყვებს ამბობდა, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში ეს იყო ცუდი გამეორება იმის, რასაც ჩვენ გვასწავლიდენ დასავლეთ ევროპის სოციალიზმის თეორიტიკოსები. საჭირო იყო ჩვენ თვით მოგვეწყო სოციალისტური მეურნეობა და დაგვენახვებია ეს ევროპისათვის, ამის მაგივრათ კი ბოლშევიკების საქმიანობამ სრული არევ-დარევა და ანარქია გაამეფა რუსეთში.

ავიღოთ ახლა მიწის საკითხი. ბოლშევიკების მთავრობამ აღიარა, რომ იგი მთელ მიწას გადასცემდა გლეხობას. მაგრამ თავის დეკრეტით მათ სთქვეს: წაიღეთ ვისაც გინდათ და რამდენიც შეგიძლიათ. მათ გადასცეს მიწები სადგილ-მამულო კომიტეტებს და ეს ორგანიზაციები კი კონტრ-რევოლუციონურათ გამოაცხადეს და გააუქმეს და ყველას მიეცა საშუალება დაეტაცებია მიწა, რამდენიც უნდოდა. დეკრეტი კი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. მოხდა მიწების დატაცება და არა განაწილება. და ისევ მდიდრებს, შეძლებულ პირებს ჩაუვარდათ მიწა ხელში. ღარიბ-ღატაკი გლეხობა უმიწოთ დარჩა. რკინის გზის მუშამოსამსახურეთა ყრილობაზე, როცა შეეხეთ ამ საკითხს ბოლშევიკების შეგნებული წარმომადგენლები ამაყათ ამბობდენ, რომ ღარიბი გლეხობა გარების ფრონტზე, ქალაქებში, მას საჭმელი არ აქვს სოფელში და ამით ძლიერდება კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის კავშირიო.

ყველგან დემოკრატიული ორგანიზაციები გაანადგურეს და საბჭოთა ორგანიზაციებს აწყობდენ. მაგრამ საბჭოთა ორგანიზაციები სწორეთ მაშინ დასუსტდენ, როცა მათი დიქტატურა გამოაცხადეს. თვით საბჭოთა მთავრობამ შეაქცია ზურგი საბჭოებს. არ ყოფილა არც ერთი საკითხი, რომ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გაერჩიოს. დემოკრატიულ ორგანიზაციების დაშლით დაიწყო თვით საბჭოთა ორგანიზაციების დაშლა. საბჭოებიდან განდევნეს ყველა ის, ვინც სხვაფერ აზროვნებდა. არც ერთ მთავრობას ისე არ ეშინოდა კრიტიკის, როგორც ბოლშევიკების მთავრობას ეშინია. ორგანიზაციებს ეს მთავრობა მომზადარ ფაქტის წინაშე აყენებდა. არ არის კამათი, მსჯელობა, საკითხის ყოველმხრივ განხილვა; გააკეთებენ მოხსენებას, უყრიან კენჭს წინადადებას და სხდომას ხურავენ. მათ დაშალეს დემოკრატიული ორგანიზაციები, გარეკეს დამფუძნებელი კრება, ამით დაიწყო თვით საბჭოთა ორგანიზაციების სიკვდილი. მასსა შორდება ორგანიზაციებს და თვით საბჭოთა მთავრობა მოექცა ანარქისტულ მასსის გავლენის ქვეშ.

ასეთი მდგომარეობა და რაც მოხდა, ეს ყველაფერი შედეგია ოქტომბრის გადატრიალებისა. სახალხო კომისართა საბჭომ მისცა რევოლუციონური რუსეთი ანარქიულ სტიქიას და საგარეო და საშინაო პოლიტიკაში დამარცხება გამოიწვევს საბჭოთა მთავრობის მოსპობას და ანარქიულ ვნებათა ღელვას. მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს რუსეთის დემოკრატიის სიკვდილს. არის იმედი და ნიშნები გადარჩენისა. ასეთი მდგომარეობა სხვა ქვეყნებმაც განიცადეს: იყო მაქსიმალისტური მიმართულება, შემდეგ მასსას იპყრობდა გულცივობა, აპატია და ამას მოყვებოდა კონტრ-რევოლუციის გაბატონება. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მაქსიმალისტურ ცდას მეთაური იყო მუშათა კლასი, აქ კი მეთაურათ გამოდის არა მუშათა კლასი, არამედ შეიარაღებული ჯარისკაცები, რომლებიც ეყრდნობიან ხიშტებს და გამოვიდენ არა მუშებისაგან, არამედ უმთავრესად გლეხობისაგან. პირველი ნიშნები გამოფხიზლებისა უკვე ემჩნევა მუშათა მასსაში. პეტროგრადში მუშები გამოფხიზლდენ, როცა დამფუძნებელ კრებისათვის დაიღვარა მათი სისხლი. თუ დასავლეთ ევროპაში მაქსიმალიზმის შემდეგ იმარჯვებდა კონტრ-რევოლუცია, რუსეთში შესაძლებელია მაქსიმალიზმის დამარცხებას მოჰყვეს დემოკრატიზმის გამარჯვება. ამისთვის

საჭირო პირობები არსებობს რუსეთში. არის დემოკრატიული მუშაობის ნიადაგი მომზადებული. ძველი წყობილებისადმი სიძულვილი, რომელიც აკავშირებს მუშებს და გლეხებს, იმდენად ძლიერია, რომ მასსა ვერ შეურიგდება კონტრ-რევოლიუციის გაბატონებას. ამაშია თავდები დემოკრატიზმის გამარჯვებისა. ეს პროცესი უკვე დაიწყო. რუსეთი ან აღსდგება მასსის, დემოკრატიის თვითმოქმედების საფუძველზე, ან სავსებით შესწყვეტს არსებობას. ბოლშევიკური გატაცებისაგან გამორკვეული მასსა შესაძლებელია შეუდგეს დემოკრატიზმის განმტკიცებას. კონტრ-რევოლიუცია, როგორც ხანგრძლივი მოვლენა რუსეთში, შეუძლებელია.

## უკრაინაში

### სამოქალაქო ომის მსხვერპლი

სამოქალაქო ომს კიევში მრავალი მსხვერპლი შეეწირა. რიცხვი არ გამოურკვევიათ. საანატომიო თეატრი გვამებით სავსეა. ზოგიერთა გვამი იმდენადაა დამახინჯებული, რომ გამოცნობა ყოვლად შეუძლებელია.

### გერმანეთ-უკრაინის პირობები

უკრაინელთა დელეგაციამ საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს ცენტრალურ სახელმწიფოებს აპრილის 15-სთვის (ახალ სტ.) აღუთქვა: 300 ათასი ვაგონი პური 1200 ვაგონი შაქარი, 2,000 ვაგონი გაყინული ხორცი, 1,000 ვაგონი ჩირი, ამის ნაცვლად გერმანელები უკრაინელებს უგზავნიან სამიწადმოქმედო იარაღს, მანქანებს, მანუფაქტურას, რკინას, ფოლადეულობასდა სხვა ამგვარით.

# ზავის გარშემო

## რუსთა დელეგაციის დეკლარაცია

### რადიო დეპეშა

(…ლი თბილისის რადიოთ-სადგ… ცარსკოე სელოს რადიო სადგურით)

რუსთა დელეგაციამ მარტის 3 (ახალი სტილი) ბრესტ-ლიტოვსკში კონფერენციის სხდომაზე, საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, გამოაქვეყნა შემდეგი დეკლარაცია: რუსეთის რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობა იძულებული შეიქმნა მიეღო მის წინაშე წარდგენილი ულტიმატუმი. თანხმობა ულტიმატუმის მიღების შესახებ მთავრობამ თებერვლის 24-ს განაცხადა და გამოგზავნა ჩვენ ძალით თავზე მოხვეულ პირობებზე ხელის მოსაწერად. ბრესტ-ლიტოვსკში აქამდე მომხდარი სხდომებმა ნათლად დაგვანახვეს, რომ გერმანელთა წარმომადგენლების მიერ მიღებული „შეთანხმებული ზავი“ ნამდვილად იმპერიალისტური ზავი ყოფილა. მაგრამ ბრესტის პირობები ახლა შედარებით უფრო იჩრდილება. ეს ზავი არ ემყარება რუსეთის, გერმანეთის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და ოსმალეთის ერების თავისუფალ შეთანხმებაზე. ეს ზავი ნაკარნახევია იარაღის დალირებით, ეს ისეთი ზავი, რომელიც რევოლიუციონურ რუსეთმა კბილებ შეკრულმა უნდა მიიღოს, ეს ზავი ვითომც და ანთავისუფლებს რუსეთის განაპირა ერებს, მაგრამ ნამდვილად კი აქცევს გერმანეთის პროვინციებად და უსპობს მათ თავისუფალ თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც მიანიჭა მათ რევოლიუციურ რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობამ. ეს ის ზავია, რომელიც ვითომც და წესიერების დამყარებას ემსახურება, ნამდვილად კი შეიარაღებულ ძალით ეხმარება ამ ოლქებში მჩაგვრელ კლასებს დაჩაგრულთა წინააღმდეგ და ჰმველით მათ ამ უკანასკნელებზე იმ მონობის უღლის კვლავ დადგმას, რომელიც მათ კისრიდან გადააგდო რუსეთის რევოლიუციამ. ეს ისეთი ზავია, რომელიც რუსეთის მშრომელ ხალხს თავზე ახვევს ძველს 1904 წელს დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას და ამასთან უფრო გაცილებით უარესი პირობებით. გერმანეთის ულტიმატუმს ჰსურს რკალში მოაქციოს რუსეთის რევოლიუცია. იგი ჰკრძალავს ოთხთა შეთანხმების და სამხედრო პირთა წინააღმდეგ მიმართულ აგიტაციას. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გერმანეთი იარაღით იპყრობს მთლად რუსებით დასახლებულ ოლქებს, ამყარებს სამხედრო ოკუპაციის რეჟიმს და უბრუნდება რევოლიუციამდე არსებულ წესწყობილებას.—გერმანეთი მოითხოვს რომ რევოლიუციონური რუსეთი უკრაინისა და ფინლიანდიის საქმეებში არ ჩაერიოს. ამავე დროს იგი აქტიურ დახმარებას უჩენს იქ კონტრრევოლიუციონურ ძალებს რევოლიუციონურ გლეხების და მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანეთი პირდაპირ არღვევს თებერვლის 21 თავის მიერვე წამოყენებულ პირობებს და კავკასიის ოსმალთა სასარგებლოდ აშორებს არდაგანის, ყარსის და ბათუმის ოლქებს, რომლებიც ომის დროს ოსმალთა ჯარებს არ დაუპყრიათ. გერმანეთი ანგარიშს არ უწევს ამ ოლქების მცხოვრებთა ნება-სურვილებს. ძალით და მომრეობით ტერიტორიების დაპყრობა, უმნიშვნელო სტრატეგიულ პუნქტების დაჭერა—აი გერმანელ ჯარების შემოტევის მიზნები, იმ შემოტევისა რომელიც დაიწყო თებერვლის 18-ს. ეს შემოტევა არ იქმნა შეჩერებული იმის და მიუხედავად, რომ სახალხო კომისრების საბჭომ თებერვლის 21-ს ულტიმატუმში გერმანელების მიერ გამომუშავებულ პირობების მიღებაზე თანხმობა განაცხადა. ეს შემოტევა არ იქმნა შეჩერებული იმისდა მიუხედავათ, რომ ბრესტში კვლავ განვაახლეთ საზავო კონფერენციის მუშაობა და ჩვენმა დელეგაციამ შემოტევის შესახებ სასტიკი პროტესტი განაცხადა. ასეთ პირობებში რუსეთს არჩევანი არ შეუძლიან; რუსეთის რევოლიუციამ დაშალა რა თავისი ჯარი, თავისი ბედი გერმანეთის ერს გადასცა. რუსთა დელეგაციამ ბრესტ-ლიტოვსკში თავის დროზე განაცხადა, რომ არც ერთი პატიოსანი ადამიანი არ დაიჯერებს, რომ ვითომც რუსეთთან ახლა გერმანეთიც მოგერიებით ომს აწარმოებს. გერმანეთმა შემოტევა დაიწყო ვითომ და წესიერების დასამყარებლად, ნამდვილად კი მას ჰსურს რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლიუცია მოსპოს. გერმანეთმა მსოფლიო იმპერიალიზმის ინტერესებისათვის შესძლო თავისი ჯარი რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ გამოელაშქრებინა. გერმანეთის პროლეტარიატი იმდენად სუსტი გამოდგა, რომ ვერ შეაჩერა ეს შემოტევა. ჩვენ ერთის წუთითაც არ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ იმპერიალიზმის და მილიტარიზმის გამარჯვება საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციაზე მხოლოდ დროებითია და წარმავალი, დღევანდელ პირობებში რუსეთის რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობას არ ძალუძს გერმანეთის შეიარაღებულ იმპერიალიზმს წინააღმდეგს, და ამიტომ იგი იძულებულია მიიღოს მის წინაშე წაყენებული პირობები, ჩვენ გვაქვს რწმუნება ჩვენს მთავრობისგან ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას. ჩვენ არ შეგვიძლიან დავზვრიტოთ ბრძოლაზე უარის გამცხადებელი რუსი მუშები და გლეხები. რუსეთ-გერმანეთის გლეხთა და ჯარის კაცთა, და აგრეთვე მთელი ქვეყნის დაჩაგრულ კლასების გასაგებად ვაცხადებთ, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ მივიღოთ ზავი, რომელიც ნაკარნახევია ამ ჟამად უფრო ძლიერ მოწინააღმდეგის მიერ. ხელს ვაწერთ წამოყენებულ ულტიმატუმს განუხილველად.

## ზავი რუმინეთთან

### პირობები

სთოლქო სამხედრო-სარევოლიუციო შტაბი აქვეყნებს ადესიდან მოსულ დეპეშას, რათა რადიოთი ემცნოს ქვეყნიერებას. ადესაში, რუმინეთთან ზავი შეიკრა. საბჭოთა მთავრობისგან წაყენებული და რუმინეთის მიერ აღიარებული პირობები შემდეგია:

1. რუმინეთი ვალდებულია ორი თვის განმავლობაში დასცალოს ბესარაბია და ბუნდერი.
2. განთავისუფლებულ ადგილებს იჭერენ რუსის ჯარები.
3. ადგილობრივი მთავრობა გადადის ადგილობრივ თვითმართველობაში.
4. თვითეულ ქალაქში ადგილობრივ მცხოვრებთაგან არსდება მილიცია მოსახლეობის ინტერესების დასაცველად.
5. რუმინეთის მთავრობას ნება არა აქვს ჩაერიოს ბესარაბიელთა შინაურ ცხოვრებაში.
6. დაუყოვნებლივ განთავისუფლონ ყველა რუსის ტყვეები და პატიმარნი, როგორც პოლიტიკური ისე სისხლის სამართალში მიცემული (გაშვებულია). დაპატიმრებულია მრავალი პოლიტიკური.
7. დაარსდეს საერთაშორისო კომისია, რომელიც გამოარკვევს და გადასწყვეტს რუსეთ-რუმინეთის კონფლიქტს, კომისიაში შედის ორ-ორი რუს-რუმინელი წარმომადგენელი.
8. რუმინეთს უფლება ეძლევა დასტოვოს რაზმი ბესარაბიელ რუმინელთა ქონების დასაცავად.

ადგილობრივმა მთავრობამ მიიღო რა თავის ხრით ეს პირობები, შეატყობინა რუმინეთის მთავრობას, რომ ღებს ამ პირობებს და განაჩენი შეაქვთ ამ პუნქტზე.

1. უკრმანიის მაზრის დაუყოვნებლივი განწმენდა.
2. სრული ამნისტია რუმინელ დეზერტირებისა და პოლიტიკურ დამნაშავეთათვის. რუმინეთის საქმეთა უმაღლესი კომისია დარწმუნებულია, რომ რუმინელი მთავრობა უსაცილოდ მიიღებს ამ ორ მუხლს და რუმინეთის და საბჭოთა მთავრობის შუა დადებული ზავი უზრუნველყოფილია. რუმინეთი არ დასთანხმდა გერმანეთის მიერ წამოყენებულ პირობებზე და საზავო მოლაპარაკებანი შესწყდა. გერმანეთმა მედგრად შემოუტია რუმინეთს და უკანასკნელს კაპიტულაცია ელის.

სთოლქო შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი შპაკოვსკი.

# ომი

## კავკასიის ასპარეზი

არზრუმის მხარეში, ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს ნურაში და არჩიკი. აგრეთვე სოფ. თიქირი. ილიჯის სამხრეთით მთელი დღის ბრძოლის შემდეგ დავიჭირეთ სოფლები საყალიქესიკი, ხონკი და იაგმურჯიგი. ხნისის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. ბაკშეიტთან ქურთებს მივაგნეს.

## ჯარების წამოსვლა სარაყამიშიდან

სარიყამიშში ჯარებმა დასცალეს. უცბად გაჰქრა ერთმანეთის მეტოქე კომიტეტები. ალექსანდროპოლამდე სიწყნარეა. აქ ჯარისკაცები კიდევ არიან.

## ამერიკელ ჯარების გადმოყვანა ევროპაში

შეერთებულ შტატების სამხედრო მინისტრმა გადასწყვიტა ევროპაში გადმოიყვანოს 2.033.345 ჯარისკაცი და 55,042 ოფიცერი. ჯარს გადმოიყვანენ გერმანელებისაგან ჩამორთმეულ გემებით და ამერიკულ სავაჭრო ხომალდებით. ერთ გამომგზავრებაზე ევროპაში გამოვა 50 ათასი კაცი.

**გაზეთი და პარტიის საორგანიზაციო საქმე არა ჩვეულებრივ ხარჯებს მოითხოვს. ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია პარტიას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.**

## უკანასკნელი დეპეშები

ვეხი-ფაშა დეპეშით ატყობინებს გენერალ ოდიშელიძეს: როგორც ცნობები მივიღე, ერზერუმსა და იმის რაიონში, თქვენი იქიდან წასვლის შემდეგ, სომხები მხეცურად ანადგურებენ მუსულმანებს და მათ საცხოვრებელს. ამიტომ ჩვენი მხრივ მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩქარა განვანთავისუფლოთ აღნიშნული ადგილები სომხების მოქმედებისაგან. გთხოვთ როგორმე შეატყობინოთ ამ მოძალადეთ, რომ მათ საქციელს არა-სასურველი შედეგი მოჰყვება. ვსარგებლობ შემთხვევით გაცნობოთ, რომ ჩვენი ჯარების დაბრუნებას ტრაპიზონში დიდის აღტაცებით შეხვდნენ თქვენი ჯარები. გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებ რუსის მხედრობას სამხედრო საწყობების აფეთქების გამო ტრაპიზონში.

—

ამიერ-კავკასიის სეიმისა და მთავრობის თავმჯდომარეებს შემდეგი დეპეშა მოუვიდა თებერვლის 25-ის თარიღით სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარის ა. ჩხენკელისაგან: დელეგაცია სეიდში იმყოფება. ოსმალეთის დელეგაცია ჯერ არ მოსულა. ოსმალეთის ლაშქრის ბანაკის წარმომადგენელი აქ იმყოფება.

—

სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარემ ბ-მა ა. ჩხენკელმა შემდეგი დეპეშა გაგზავნა ტრაპიზონიდან კონსტანტინოპოლში გარეშე საქმეთა მინისტრის სახელზე: ამიერ-კავკასიის სამშვიდობო დელეგაცია ტრაპიზონში მოვიდა მარტის 8 ს (ახ. სტ.), საღამოს 8 საათზე. ოსმალეთის დელეგაცია ჯერ არ მოსულა. გთხოვთ გვაცნობოთ როდის უნდა ველოდოთ მის მოსვლას.

ბორჩალოს მაზრაში იქაურმა თათრებმა გაანადგურეს არამიანცის მამულში ბაგის სარჩევი ქარხანა და სხვა შენობანი. ბრბოსაგან განადგურებულია თ-დ მ. სუმბათაშვილის მამულიც. დაქცეულია ვენახები ბაღები და სხ.

# პანაშვიდი

დღეს შესრულდა წელიწადი
რაც დამარცხდი, ჩამოვარდი,
ჩვენ გვეგონა რომ მოგვშორდი,
მოგვწყდა სევდა, მოგვწყდა დარდი.

თავსდა ვსთქვ : ჩემს ბაღჩაში
გაიხარებს ია, ვარდი;
ეკალი რომ მოითხრება
მოისპობა ყველა ბანდი.

მაგრამ არა, თურმე შენზე
დაგვებადა უარესი:
მოწამლული, მოშხამული,
ეკლის წვენით მოსასრესი.

შენ სამშობლოს ჩუმად ჰყიდდი,
მან აშკარად გაგიყიდა;
ჩემიც ურცხვად ზედ დაურთო,
ორ ეკალზე გადაგკიდა.

თხის ბალკანი ვის უნახავს,
აქ მეტია ლაპარაკი:
დღეს აშკარად გამომჩვევდა
შენზე უფრო ავაზაკი.

და ავაზაკს რა უშველის,—
ერთად ერთი სახრჩობელა;
სახრჩობელა ჩამებური
უფერებდეთ ზიზღით ყველა...

შენ რომ გრჩენო არ იფიქრო,
ისევ შენა გთხოულობდე;
თვალები რომ დამიბნელდეს
და გზას ვერა ვპოულობდე,

გინდ ეკლებში გადავვარდე
დამეტანოს ზედ ქარ-ბუქი,—
მაინც ვიტყვი შორს, შორს ჩემთვის
მოტანილი შენგნით შუქი.

შაო მღვიმელი.

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **მთავრობის შედგენა.** სეიმის თავმჯდომარემ ბ ნმა ნ. ჩხეიძემ წინადადებით მიმართა ბ-ნ ევ. გეგეჭკორს მთავრობა შეადგინოს. წინადადება გეგეჭკორმა შეიწყნარა.

◆ **კათალიკოზი სრულიად საქართველოსა** კირიონ მეორე ეხლა კარგად გრძნობს თავს და ექიმებს იმედი აქვთ, რომ მისი უწმიდესობა ამ დღეებში სავსებით განიკურნება სნეულობისაგან.

◆ **რევოლიუციის წლის თავი.** დღეს, თებერვლის 27-ს, რევოლიუციის წლის თავზე თბილისის ქარხნებში და ზოგიერთ დაწესებულებებში მუშაობა არ იქნება. არ იმუშავებს აგრეთვე ტრამვაი. ქალაქში რამდენიმე ალაგას მიტინგები გაიმართება. თებერვლის 28-ს გაზეთები არ გამოვა.

◆ **მუქარა სურსათის გზავნის შეწყვეტის შესახებ.** რადგანაც საქართველოს სამხედრო გზის მცველები ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გაგზავნილ საქონელს ხშირად იჭერენ და რეკვიზიციის სახით ითვისებენ, ჩრდილოეთ კავკასიის ერთერთ სასურსათო ორგანიზაციის თავმჯდომარის ატამანოვის ცნობით, ჩრდილო კავკასიელნი იმუქრებიან ამიერკავკასიას სურსათს აღარ მივცემთო.

◆ **ქართული ოპერა.** თებერვლის 25 ქართველ მუსიკოსთა და მომღერალთა კავშირის კრებამ დაადგინა დიდმარხვაში დაიწყოს ქართული ოპერების მართვა. კავშირს უკვე ხელთა აქვს უკვე დასრულებული ორიგინალური ოპერა „ქრისტინე“ და 7—8 ნათარგმნი ოპერა.

◆ **ქართველ კათოლიკეთა ჩაწერა სომხურ პოლკებში.** ბოლო ხანებში სომხურ ეროვნულ საბჭოს განკარგულებით ბევრ ქართველ კათოლიკეს სომხური ეროვნული საბჭო ჯარში იწვევს და სომხურ პოლკებში ჰრიცხავს. ამის გამო საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სომხურ ეროვნულ საბჭოს შეატყობინა, რომ ქართველ კათოლიკეთა დოკუმენტებზე აღნიშნულია ხოლმე მათი ქართველობა და კათოლიკური რჯული და ამიტომ ჯარში გაწვევისას ისინი ქართულ პოლკებში უნდა იქმნენ ჩარიცხულნი.

◆ **მაჰმადიანთა თათბირი ახალთუბანში.** თებერვლის 28 ახალთუბანში შესდგება მაჰმადიანთა საგანგებო თათბირი, რომელსაც დაესწრებიან აგრეთვე ახალქის რევოლიუციონურ, ეროვნულ და საზოგადო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნულ საბჭომ თავის წარმომადგენლად დანიშნა აბაშელი—ჩიჩუა.

◆ **ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბრძანება.** ვინაიდან გახშირდა ეროვნულ პოლკების თვითნებობა, რაიცა იმაში გამოიხატება, რომ ისინი იტაცებენ სახელმწიფო იარაღს, ავტომობილებს, სურსათს, ცხენებს და სხ., რითაც დიდი დეზორგანიზაცია შეაქვთ ლაშქარში, ვბრძანებთ, რომ დამნაშავენი სამხედრო-სარევოლიუციო ტრიბუნალს მიეცნენ. ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი.

◆ **გ. დალაქიშვილის სახელობის ფონდი.** კულტურისა და შრომის კავშირის (ყოფილ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების) გამგეობამ დაადგინა ტრაგიკულად დაღუპულ გიორგი დალაქიშვილის ფონდის დაარსება, რომლის სარგებლითაც შეინახება სტიპენდიანტი ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტი. ამიტომ კავშირის გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც განზრახული აქვს განსვენებულის ცხედრის გვირგვინით შემკობა, გვირგვინისათვის გადადებული ფული ხსენებულ ფონდის გასაძლიერებლად გაიღოს. შემოწირულება მიიღება „საქართველოს“, „სახალხო საქმის“ და „ერთობის“ რედაქციაში. დღემდე შემოვიდა ხსენებულ ფონდისათვის (გვირგვინების ნაცვლად). პარესა კონსტანტინეს ასული და გრიგოლ ზაქარიას ძის ქურდიანებისაგან—100 მან. ნინა ალექსანდრეს ასული და იოსებ ზაქ. ქურდიანებისაგან—100 მან. ნინო ილ. და გ. თ. ქურდიანისაგან—50 მანეთი. სულ 250 მან.

◆ **ეროვნულ საბჭოს მიტინგის რეზოლიუცია.** თებერვლის 22 ეროვნულ საბჭოს თაოსნობით შემდგარმა მიტინგმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „ქართველ მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანი კრება იღებს მხედველობაში სამშობლოს და რევოლიუციის უკიდურეს განსაცდელს, რომელიც გამოიწვია რუსეთის სახელმწიფოს დანგრევისა და ანარქიულ მდგომარეობით, ხოლო მეორეს მხრით საქართველოს საუკეთესო ნაწილების ჩამოსაჭრელად, რათა მას მოესპოს საშუალება თავისუფალ განვითარებისა და ეროვნულ ძლიერებისა, კარზე მომდგარ მტრის მიერ შექმნილ საფრთხეს, და ადგენს ქართველი ერისათვის სავალდებულოდ აღიარებს ქუდზე კაცის გამოსვლას ჯარის გასაძლიერებლად, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაცულ იქნეს სამშობლო და დემოკრატიული თავისუფლება.

◆ **„ნაროდნაია სვობოდა“-ს** (კადეტების ორგანი) მეოთხე ნომერი გამოვიდა. გაზეთი აქამდის დახურული იყო.

◆ **„პრომეთე“.** გამოვიდა ჟურნალ პრომეთეს № 2. შემდეგის შინაარსით: 1. ვაჟა ფშაველას დაუბეჭდავი ლექსი: „ბუნების გლოვა“ 2. ვ. ბარნოვი. ამქრის მშვენება. 3. ა. ჭუმბაძე ნაგვიანევი ყვავილი. 4. აკაკი პაპავა. „სოლეიდ დორ“. 5. კოწია გამსახურდია მიზანტროპი, ქარწილი. 6. კ. ჭიჭინაძე. იო, ძველი მწერლობა. ქართველ მეფეთა და დიდებულთა მეჭედის ზედ წარწერანი. აფორიზმები ქილილა და დამანადან. 7. ს. გორგაძე. ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა. 8. პავლე ინგოროყვა. „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტ. გამიჯვნის გამო. 9. რენე მეველი. ფრანგული აზროვნება და ომი. 10. ო. ტერ-გრიგორიანცი. „მშაკი და სომეხ ქართველთა ურთიერთობა“.

## ზუგდიდი

◆ **ქალაქთა კავშირში შესვლა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ზუგდიდი ქალაქთა კავშირში შევიდეს.

## პარტიული ცხოვრება

◆ **მთავ. კომიტ. დადგენილება.** მთავარი კომიტეტის საორგანიზაციო და სალიტერატურო მუშაობა დიდს ხარჯებს საჭიროებს. ვინაიდან მომენტის სირთულე პარტიული მუშაობის გაძლიერებას მოითხოვს, საქართ. ერ. დემოკ. პარტიის მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა დროებით არაჩვეულებრივი გადასახადი დააკისროს ყველა პარტიის წევრებს, თანახმად თბილისის საქალაქო კომიტეტის დადგენილებისა, მთავარი კომიტეტი ადგენს: თითეული პარტიის წევრი ვალდებულია თვეში ერთი დღის შემოსავალი გადასცეს მთავარ კომიტეტს პარტიულ პრესისა და საორგანიზაციო საქმისთვის. მიმდინარე თვეში ასეთი დღე იქნება 27 თებერვალი.

როგორც თბილისში, აგრეთვე პროვინციაში მცხოვრებ პარტიის წევრთ ევალებათ 27 თებერვლის შემოსავალი გადასცენ ადგილობრივ ეროვნ. დემ. ორგანიზაციას ან და გაუგზავნონ მთავარ კომიტეტს საფინანსო სექციისას (სასახლის ქ. № 5).

◆ **მთავ. კომიტ. საორგანიზაციო სექციის** კრება დანიშნულია დღეს საღამოს 6 საათზე.

## ვეხიბ-ფაშას დეპეშა

### ბათომის, ყარსის და არტაანის ოლქის დაცლის შესახებ

თებერვლის 25 თარიღით ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ იღო ორი დეპეშა ფრანგულ ენაზე. პირველი დეპეშა გამოგზავნილია კავკასიის რუს მხედრობის მთავარსარდალ ლებედინსკის სახელზე:

**„რუსეთის რესპუბლიკა დასთანხმდა დასცალოს ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები და ამის შესახებ ესეც არის ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. ამის გამო გატყობინებთ, რომ მე ამ საათში ბრძანება მივიღე ჩემ გენერალისსიმუსისაგან გთხოვთ თქვენ მოკლე დროში დასტოვოთ აღნიშნული ოლქები.**

ხელს აწერს ვეხიბ-მამედ.

—

## კომისარიატის პასუხი

ამიერ კავკასიის კომისარიატმა, ვეხიბ-მამედის დეპეშის საპასუხოდ გაგზავნა შემდეგი დეპეშა სარაყამიში გენერალ ოდიშელიძის სახელობაზე ოსმალეთის მთავრობის საუწყებლად. დაუყოვნებლივ გადაეცით ოსმალეთის სარდალს ვეხიბ-ფაშას, ოსმალეთის მთავრობის საუწყებლად. თებერვლის 17-ს ამიერ კავკასიის სეიმმა და მთავრობამ რადიო დეპეშა გაგზავნა ყველგან და აგრეთვე კონსტანტინეპოლშიაც, რომლითაც გაცნობებდათ, რომ ყოველიგე ხელშეკრულება ამიერ კავკასიის და მის საზღვრების შესახებ ამიერ კავკასიის მთავრობის დაუკითხავად და ნება დაურთველად მოკლებულია საერთაშორისო მნიშვნელობას და ამიერ კავკასიის მთავრობისათვის არ არის სავალდებულო, ვინაიდან ამიერ კავკასიის მთავრობა არასოდეს არ სცნობდა ბოლშევიკურ მთავრობას. თანახმად ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებისა, ჩვენ გავგზავნეთ სამშვიდობო დელეგაცია ტრაპიზონს, რომელიც იქ იმყოფება. მიუხედავად ამისა თებერვლის 25 ჩვენმა მთავარსარდალმა დეპეშა მიიღო ვეხიბ-ფაშასაგან, რომ ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები დავსცალოთ თანახმად ბრესტლიტოვსკში დადებულ ხელშეკრულებისა. გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ: წინადადება ხსენებულ ოლქების დაცლის შესახებ იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ოსმალეთის მთავრობას არა ჰსურს სამშვიდობო მოლაპარაკება გამართოს ამიერ კავკასიის მთავრობასთან.

ხელს აწერენ: სეიმის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე და მთავრობის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი.

**გაზეთი და პარტიის საორგანიზაციო საქმე არა ჩვეულებრივ ხარჯებს მოითხოვს. ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია პარტიას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.**

## სომხების გამოხიზვნა ართვინიდან

„ზმაკს“ ატყობინებენ: კავკასიის ფრონტზე მომხდარ უკანასკნელ ამბების გამო ართვინიდან სომხები იხიზნებიან, მოდიან ბათუმში ჭოროხით. გამცილებლებად ეხმარებიან ლაზები, მაჰმადიანი ქართველები და ლაზისტანის მცხოვრებნი. ლაზები ხშირად არ უფრთხილდებიან სომხებს. ამას წინად სომხებმა (300 კაცამდე) დაიქირავეს ლაზებისგან ორი ნავი ჭოროხზე გადასასვლელად. ლაზებმა მდინარის შუა გულამდის მგზავრები მშვიდობიანად შეაცურეს, მაგრამ შემდეგ ნავები ისე წაიყვანეს რომ გადააბრუნეს და შიგ მსხდომნი დაიღუპნენ. გადარჩნენ მხოლოდ ლაზები, რომელთაც კარგად იცოდნენ ცურაობა.

## მდგომარეობა არდაგნის ოლქში

არდაგნელი ქრისტიანები არდაგნის საზოქულოში გადმოიხიზნენ. არდაგანის ოლქში ქრისტიანებს ყველგან თავს ესხმიან. ს.ს. დენურდანს და უჩ-კიკისას იარაღი აჰყარეს. ს. ფარაქუ განადგურებულია. ს.ს. მერდენეკზე, სალუტზე და ვარგენისზე თავდასხმა მოიგერიეს. ს. ხანახ ალყა არტყია გარს. ფოსტა უკვე 3 კვირაა არ მუშაობს რაც უფრო აძლიერებს პანიკას. მცხოვრებლებს შიშის თავზარი აქვთ

დაცემულია; გზები შეკრულია. მგზავრებს სცარცვავენ და რამდენიმე მკვლელობაც მოხდა. ყველა ამას სჩადიან ყაჩაღთა ბრბოები ადგილობრივ ქურთთა დახმარებით. მცირე რიცხოვან ქრისტიან მცხოვრებლებს თავის დაცვა არ შეუძლიათ, რა მიზეზის გამოც ქრისტიანთა პოლიტიკურ ორგანიზაციების და დაწესებულებათა საერთო კრებამ ითხოვა ან დაიცვან ქრისტიანები ან და საშუალება მისცენ გამოიხიზნონ არდაგანის ოლქიდან.

## ბათუმში

ამიერკავკასიის კომისარიატს ბათომიდან დეპეშით ატყობინებენ:

„სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კავშირის ბათუმის განყოფილებამ, რომელიც არ სცნობს ამიერკავკასიის კომისარიატს და ემორჩილება სახალხო კომისარების საბჭოს, დაადგინა თავის გამგეობაში მიიღოს ბათომის სავაჭრო პორტი და გადააყენოს ძველი სამმართველოს მოსამსახურეები, რომელნიც მეზღვაურთა კავშირს არ ემორჩილებიან. ამ დღეებში სავაჭრო ფლოტის მეზღვაურები ძალმომრეობით აპირებენ პორტის სამართველოს ბინის ხელში ჩაგდებას. კერძოდ დაქირავებული მოსამსახურეები სთხოვენ ამიერ კავკასიის კომისარიატს გაუხსნას კრედიტი ჯამაგირის მისაღებად წლის დამლევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მეზღვაურთა კავშირის ძალაუფლებას ცნობენ. გთხოვთ სასწრაფო განკარგულებები მისცეთ ადგილობრივ მთავრობას, რათა ყოველი ღონე იღონის ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

პორტის გამგე ლეონგი

## სოხუმში

სოხუმის ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი დეპეშით ატყობინებს ამიერ კავკასიის კომისარიატს: თებერვლის 21-ს ქალაქი ჩვენ დავიჭირეთ. ბოლშევიკების მიერ განთავისუფლებული ტუსაღები ტყეში გაიქცნენ. მდგომარეობა სასოწარკვეთილებამდე მიდის. ჩვენ არას გვ ჯარებენ და მტრულად გვიცქერიან. ლიანდის მეგრელები და აფხაზები, რომელთაც ჩვენთან კარგი განწყობილება აქვსთ, სასოწარკვეთილი არიან შექმნილ პირობების გამო და შესაძლებელია ოსმალეთს დესანტის გადმოსხმა სთხოვონ ქალაქში წეს-რიგის აღსადგენად, თუ დროზედ შესაფერისი ღონისძიება არ ვიხმარეთ. საჭიროა დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ საქართველოს საბჭოს დეპუტაცია, რომელსაც უნდა მიემატონ წარმომადგენელნი სენაკისა და ზუგდიდისა.

## განჯაში

23 თებერვლის თარიღით განჯიდან დეპეშით ატყობინებენ ამიერ კავკასიის კომისარიატს: ქალაქში და მაზრებში შესწყდა მუშაობა წყალსადენისა, ქარხნებისა და წისქვილებისა. მცხოვრებლები ბნელაში იმყოფებიან. მთავრობისა და კერძო დაწესებულებანი, ტელეგრაფი, ფოსტა და ბანკები ლამით აღარ მუშაობენ. ხალხი აღშფოთებულია. მაწერეთ ინჟინერ კოზეკს მისცეს ქალაქს 28 ვაგონი ნავთი და 15 ცისტერნი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ძალად მოიტაცებს ნავთსო.

თაუზიდან ატყობინებენ ამიერ კავკასიის კომისარიატს: უკანასკნელად განჯაში მომხდარ ამბების შემდეგ სოფლის მცხოვრებლებმა პირი იბრუნეს ცუდ ხვარეს და განჯის ინტელიგენციას უნდობლად უცქერიან.

## ტრაპიზონში

ტრაპიზონში 14 თებერვალში მომხდარ აფეთქების შემდეგ—სიწყნარე ჩამოვარდა. ქალაქის წესიერებას ოსმალები იცავენ და ძალაც მათ ხელში გადავიდა. სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი უცბად მიიმალა, ხოლო საბჭო გაიფანტა. ოსმალები მეტად კარგად ექცევიან მოსახლეობას, მხოლოდ ზოგიერთს ემიან მათგან რეპრესიებს. ოსმალები ხებას ალარ იძლევიან ქალაქიდან სურსათ-იარაღის გაზიდვას.

## ჩრდილო კავკასიაში

### ყაზახთა ყრილობა

ამ დღეებში დასრულდა ყაზახთა ყრილობა. აირჩიეს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი. კომიტეტს ...

## თერგის ოლქის ყრილობა

თერგის ოლქის ყრილობა თებერვლის 16 დაიწყო. თავმჯდომარეობდა ოსი თანიევი. ყრილობის მუშაობაში არ მონაწილეობენ ინგუშები და ჩაჩნები. მათ შორის ვინმე მუტუშევმა საჩაჩნეთს მთავარ მბრძანებლადაც გამოაცხადა და ჩაჩნებში არევს უშვებს.

## დამშეულ ინგუშებისთვის

ამას წინად ქ. კავკავს სთხოვეს, რომ პურით დატვირთული ურმები ბარიდან ადგილობრივ მთებში გაეტარებინათ, რათა დამშეულ ინგუშებს მიშველებოდნენ. ამ მიზეზით სად. ბაზორკინთან თავი მოიყარა 1000-ზე მეტმა შეიარაღებულმა კაცმა. საქმეში ჩაერია ქალაქის თვითმართველობა, და ურმები უვნებლად გაატარეს.

## კავკავში

კონტრ-რევოლუციონერთა გავლენა ძლიერდება. ქალაქში მკვლელობა გახშირდა. თერგ დაღესტნის მთავრობაში შედიან, შელიკოვი, კიბიროვი და სხვანი. მათ ზურგს უმაგრებენ მათი მომხრე ოფიცერთა რაზმი. მთავრობას განზრახული აქვს უფლებამოსილება გადასცეს საოლქო ყრილობას იმ შემთხვევაში, თუ ყრილობა სრულ უფლებიანი იქნება.

## მიმავალი ეშელონები

ამიერ-კავკასიიდან მიმავალი ეშელონები მშვიდობიანად მიემგზავრებიან. არც თერგისა და არც ყუბანის ოლქში ეშელონები არ გაუჩერებიათ.

## სპარსეთში

თავრიზიდან დეპეშით გვატყობინებენ: სპარსულ ყაზახთა დივიზიის ურმიული რაზმი გაჰფანტა ასურელთა ჯარმა რუსის ოფიცერთა მეთაურობით. მოკლულია სახელდრო მამასახლისი შტოლლერი და მისი ცოლშვილი. მაკაროვმა სირცხვილის გამო თავი მოიკლა. სხვა მსხვერპლიც ბევრია. მოკლულია სპარსელი ოფიცერი, რიზა-ხანიც და ყაზახები. გატაცებულია სახელწიფო ფული. რაზმის ნაწილი თავრიზშია გაფანტული. ყველა აღელვებულია ამ შემთხვევით. მოსალოდნელია ექსცესები.

## † ვასილი გიორგის ძე მაჩაბელი

კაცი ერთგული დარაჯი საქართველოს ერის საქმეების და დიდათ გულშემატკივარი პირი ქართველთა ერისა და მის ინტერესების.

იგი იყო კარგად განათლებული კაცი და ამასთან კარგი ქართული მწიგნობარიც. იგი ეკუთვნის 60 წლების ქართველთა მოღვაწეთა ჯგუფს. განსვენებული ქართულ მწერლობას მეტის მეტი მზრუნველით და გულისმოდგინებით ადევნებდა თვალყურს.

კალმით შრომას ახალგაზრდობისას შეჩვევია და აგრეთვე ქართულ წერასა და თარგმანსა. მას ბევრი რამ თარგმანები და ნაწერები აქვს, რომელნიც მისის გვარისა და სახელის მოუწერლათ არიან დაბეჭდილები ძველს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

სხვათა შორის მისი ნაშრომების ჩვენ ვიცით შემდეგი: ქართულს ენაზედ მან სთარგმნა კომბის წიგნი „ჩავშვების მოვლა“ რომელიც პირველად დაიბეჭდა 1879 წ. ჟურ. „ცისკარში“ ეს წიგნი იმავ დროს ცალკე წიგნათ გამოსცა იმავ ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორმა ნ. ავალიშვილმა, ესევე წიგნი მეორედ მე დაბეჭდე 1890 წ. დღეს ეს წიგნი აღარ იშოვება.

ამის თარგმანი გახლავთ „ფიზიოლოგიური ლექციები, დოქტ. რანჩევსკისა“. ეს თარგმანი დაბეჭდილია ჟურ. ნ. „ცისკრის“ ნომრებში 1865 წ. ამ ჟურნალში ამის სხვა ნაწერებიც არიან მოთავსებულნი.

ზ. ჭ.

## ამიერ-კავკასიის და კახეთის რკ. გზის ქართველ მოსამსახურეთა კრება

თებერვლის 18-ს შესდგა კრება ამიერ-კავკასიის და კახეთის რკინის გზაზე ქართველ მოსამსახურეთ ქართულ კლუბის დარბაზში; გამოცხადდნენ 160 მდე ქართველი მოსამსახურენი.

თავმჯდომარეობდა ვახტანგ ღამბაშიძე.

კომისიის წევრმა დომენტი ბარონიშიძემ წაიკითხა მოხსენება „მომენტი და ჩვენი ტაქტიკა.

ქართველ მოსამსახურეთა შეერთებულმა კრებამ, იქონია რა მსჯელობა დღევანდელ საერთო მდგომარეობაზე, ერთხმად აღიარა: რუსეთის დიდი რევოლუციის კრიზისი ერთის მხრით და თანდათანი ზრდა ანარქიისა და ამოძრავება უპასუხისმგებლო ბნელი პირებისა მეორე მხრით ჰქმნის ისეთ საერთაშორისო მდგომარეობას, როცა ქართველი ერი იძულებულია შემოკრიბოს ავტორიტეტული და ერთად-ერთ გავლენიან ორგანოს გარშემო, შეჰქმნას ძლიერი ცენტრი, რომელიც ის სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებით და მით შეუდგეს თავის ტერიტორიის საზღვრებში შორის საშინაო აქტიურ პოლიტიკის წარმოებას. ხოლო გარეშე სახელმწიფოებთან და მეზობელ ერებთან იქონიოს სრული სახელმწიფოებრივი კავშირი და ურთიერთობა. ამისათვის კრებამ სადღეისო მიუცილებელ საჭიროებად მიიჩნია განხორციელებულ იქმნას შემდეგი ზომები: 1) ოლქური იქმნას საქართველოს ეროვნული საბჭო სრულ სახელმწიფოებრივ უფლებებით და გამოცხადდეს ის საქართველოს დროებითი მთავრობად. 2) ეს დროებითი მთავრობა შეუდგეს დაუყოვნებლივ სამზადისს საქართველოს დამფუძნებელ კრების მოსაწვევად დემოკრატიულის პრინციპებით. 3) კრებამ თავისი ღრმა აღშფოთება გამოსთქვა ბრძოლის იმ მეთოდის გამო, რომელსაც მიმართავენ უპასუხისმგებლო ელემენტები საქართველოს მიწა-წყალზე სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად. საჭიროდ აღიარა, რომ ქართლში და სხვადასხვა კუთხეებში დატრიალებულ ანარქიას ქართულმა ეროვნულმა საბჭომ უფრო ენერგიულად გაუწიოს ბრძოლა. და თუ საჭირო იქნება ამ ბრძოლისათვის რკინის გზის მოსამსახურეთა დახმარება, ისინი მზად არიან იარაღით ხელში დაიცვან სამშობლოს მთლიანობა, განუყოფლობა და ბრწყინვალობა, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს განურჩევლად პარტიისა ცოცხალ ძალების გაერთიანებას, შეკავშირებას.

თავმჯდომარემ აცნობა კრებას სამწუხარო ამბავი ოსმალეთთან ზავის შეკვრის შესახებ, რომლის ძალითაც უკანასკნელისათვის დაუთმიათ ბათომი, არტაანი და ყარსი თავის ოლქებით. ამ ამბავმა დიდი აღშფოთება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. გაიმართა კამათი, რომელშიაც აღნიშნული იყო უმაყოფილება, რომ ეს ზავის საკითხი გადაწყდა ასე ცუდად იმიტომ, რომ დროზე არ იყო გაგზავნილი ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკებებზე კავკასიიდან ცალკე წარმომადგენელი, რომელსაც მოითხოვდნენ თვით გერმანელები. გარდა ამისა ორჯერ სამ-სამი კვირით კომისარიატმა გადადო ეს საკითხი სრულებით უმიზეზოდ და ამით ვეხიბ-ფაშას წინადადებაზე, რომელიც მოითხოვდა დამოუკიდებელ კავკასიისაგან საზავო მოლაპარაკების დაწყებას, გადაჭრილი პასუხი არ მისცა. ასეთმა უსაფუძვლო დახანებამ გამოიწვია ზავის საკითხის ჩვენ დაუკითხავად გადაჭრა, რასაც მოჰყვა ასეთი საშინელი შედეგი. კამათის დასრულებისას კრებამ აირჩია 10 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროტესტის რეზოლუცია ამიერ-კავკასიის სეიმის წარსადგენად.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია, რომელიც საჩქაროდ გაეგზავნა სეიმის თავმჯდომარეს: „რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთა კავშირმა თავის დამფუძნებელ კრებაზე, გაიგო რა სამწუხარო ამბავი ბოლშევიკების მიერ ზავის შეკვრის შესახებ ამიერ-კავკასიის საზღვრებში, რომლითაც ბათომის, არტაანის და ყარსის ოლქები დაუთმო ოსმალეთს, ღრმა აღშფოთებით აცხადებს თავის პროტესტს და მოითხოვს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის ხანგრძლივ ყოყმანის შემდეგ, რომელმაც დიდად ავნო ამ ზავის საქმის სასურველად გადაწყვეტას, კავკასიის სეიმმა მაინც გადასდგას გაბედული ნაბიჯი, არ სცნოს ეს ხელშეკრულება კანონიერად, როგორც ამიერ-კავკასიისათვის, აგრეთვე კერძოთ საქართველოსათვის და შეუდგეს ხელახლად ოსმალეთთან მოლაპარაკებას დამოუკიდებელი ამიერ-კავკასიის სახელით, მით უმეტეს, რომ ფაქტიურად იგი დიდიხანია ჩამოშორებულია რუსეთსა და მის სახალხო კომისრების მთავრობას“.

რკინის გზაზე ქართველ მოსამსახურეთა კავშირის შესახებ მოხსენება წაიკითხა ვალერიან ბაქრაძემ. ამ მოხსენებაში ვრცლად იყო გარკვეული კავშირის დაარსების აუცილებელი საჭიროება, მისი დანიშნულება და მნიშვნელობა მთელ საქართველოსთვის.

## თეატრი და ხელოვნება

### „ფაუსტი“ ქართულ კლუბში

თებერვლის 16-ს გაიმართა ოპერა „ფაუსტი“, მუსიკა გუნოსი. 1869 წლიდან ეს ოპერა დიდის გატაცებით შედიოდა რეპერტუარის სიაში. მიუხედავად იმისა, რომ შინაარსი გოეტეს „ფაუსტისა“ დამახინჯებული იყო ლიბრეტოთი, მაინც გერმანიაში დიდის სიყვარულით იმღერდნენ ამ ოპერას. იმდენად ლამაზი, ალერსიანი მუსიკა არის, რომ მსმენელს იტაცებს. რა თქმა უნდა ეს ოპერა ხშირად და ყველგან იმართება. თვით კომპოზიტორი გუნო მორცხვი კაცი იყო, თუმცა თანამედროვეებში ეძებდა სახელის მოხვეჭას, მაგრამ მაინც ერთ წერილში სწერს: „ქება-დიდება თანამედროვეებთა შორის, მომეტებულ ნაწილად, მოდის კითხვაა. ეს ქება მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თხზულება მსმენელთა ერთ განვითარების საფეხურზედ იმყოფება. მაშასადამე ძალიანაც არ შემიძლიან თავის გამოდება ამ ქებით“.

მართლაც, ცხოვრება გვაჩვენებს თუ თანამედროვე საზოგადოება როგორის შეუგნებლობით, დაცინვით და ხშირად ზიზღით ჰხვდება საუკეთესო და გენიოს ნაწარმოებს. განა საზოგადოებამ დააფასა რაფაელი და მიქელანჯელოები, ნიუტონ-გალილეები, ბეტჰოვენი, მოცარტი და ვაგნერები? ბევრი ბრწყინვალე გენიოსი, მახვილი ჭკუა აწამა თანამედროვე ბრბომ. უკანასკნელი—მიუდგომელი დამფასებელი და მართალი სასწორი მხოლოდ მომავალია.

მართალია, გუნოს ოპერა „ფაუსტი“ ყურს ეალერსება თავის ხელოვნურად შეზავებულ ჰანგებით, მაგრამ ეს მუსიკა დროებითია. ლამაზი, კარგი ჩუქურთმით აშენებული შენობაა, მაგრამ სუსტი საძირკვლით.

აფიშაზედ გამოცხადებული იყო პირველი გამოსვლა (დებიუტი) ბ. ლორთქიფანიძისა „მეფისტოფელის“ როლში. ამ მოვლენამ დიდად დამაინტერესა, მაგრამ სამწუხაროდ წარმოდგენამ ერთ საათზე მეტი დაიგვიანა და არც ბ. ლორთქიფანიძეს უმღერია.

ილიკო აბაშიძე.

## კორესპონდენცია

### ხევსურების ჩივილი და შეწუხება

მითხოელ და ლილოელ ქისტებისაგან შეწუხებული პირიქითი ხევსურები არხოტელები და არდოტის საზოგადოებისა ჩამოვიდნენ თიანეთში და შეკითხვაზედ, თუ რამ გაგაბედვინა და როგორ გადმოვიდნენ ამისთანა ზამთარში გადმოუვალი თოვლიანი მთები, განაცხადეს, რომ გაჭირვებამ და შეწუხებამ გადმოგვიყვანა, თორემ ეხლა აქ რა გვინდაო. თუ იქიდგან არ ავიყარენით, იქ აღარ გვედგომილება. მითხოელი და ლილოელი ქისტები აღარ გვაყენებენ და ძალზედ აწევენ ჩვენზედ, თუ ჩვენთან არ იქნებით, ჩვენს რჯულს არ მიიღებთ და გზას არ მოგვცემთ ბარისკენ, სულ ერთიანად გაგანადგურებთო. ეს ამან შეგვაწუხა და გაგვაბედვინა აქ ჩამოსვლა, რომ გთხოვოთ—ან საცხოვრებელი ადგილი მოგვცეთ სადმე, რომ გადმოვსახლდეთ, ან არა და იარაღი, რომ გაზაფხულამდე როგორმე შევიკავოთ, სანამდე აქედან მოგვეშველებოდეთო. როგორც ამათვე განაცხადეს კიდეც ყოფილა რამდენიმე თავდასხმა ქისტების მხრივ, გადაუწვავთ სოფ. ქისტანში რამდენიმე სახლ-კარი, ბოსლები, თივა და ძნები, ჰქონიათ ხანგრძლივი თოფის სროლა და ბოლოს ქისტებს წაუყვანიათ ერთი კაცი ტყვე, ნადავლი და წასულან მუქარით. აგრეთვე დაუცვენია არხოტელ ხევსურებს, გაურეკიათ ცხენ-ჯორები და ტყვედ წაუყვანიათ სამი კაცი და ამასთანავე მოუთხოვნიათ 60 კაცი ყაზახებთან შეტაკებაში დასახმარებლად.

ტყვეების გამოსახსნელად არხოტელებს გადაახდევინეს 9000 მ. ნ. და ცხენ-ჯორებისა 1500 მანეთი.

საჭიროა ეხლავე იქმნას მიღებული შესაფერი ზომები, თორემ შეიძლება ამ ზამთარს პირაქით ხევსურეთმა მოახდინოს რაიმე შეთანხმება შიშით და მუქარით, ან კიდევ სრულიად მოსპონ იგი და გაზაფხულზედ პირი აქეთ აქნან პირი და შემოგვესივნენ. როგორც პირაქეთს ისე პირიქით ხევსურეთს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც იარაღის მიცემით ისე ხალხის მიშველებით, თორემ ბოლოს გვიან-ღა იქნება თითზე კბენაი.

ახ—არი.

## წერილი რედ. მიმართ

ბატ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნ გაგინეიშვილს, რომელმაც დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს, მუქთად დაუთმო წყნეთის ქუჩაზე შუშის საწყობის კანტორა, თავისი ინვენტარით, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველ უბნის კომიტეტს.

პირველი უბნის კომიტეტის წევრი

ნოშრევან მერკვილაძე.

## შემოწირულება

საქართველოს ისტორიით და ეთნოგრაფიით საზოგადოებას შემოსწირეს:

1. რაჟდენ ყარამანის ძემ დათეშიძემ: მაჰმადიანების სალოცავი, ვერცხლისა, ბარძიმის მსგავსი ხუფით.

2. ვახტანგ დიმიტრის ძემ ნაცვლიშვილმა: ა) ქვის ცული, ბ) ამანის ქვა და გ) თათრების ჯვარის წერის სიგელი.

3. ბ-ნმა ზედგენიძე-ნიშვილმა: 35 შავი და 5 თეთრი ფული (ერთი ყალბია და გატეხილი).

4. ვასო მახარობელმა: რუსუდანის შავი ფული (ნაპოვნია ეკლესიის მტკვრის სილაში).

5. გიორგი ერისთავმა: ბაქარის შავი ფული.

6. სოფიო დავითის ასულმა აბაშიძისამ: თავის შვილის კატა აბაშიძის მიერ ნაანდერძევი სარკეცი ხატი ოქროთი და ვერცხლით შემკული, წარწერებიანი. აქვს ორი ბუდე: ერთი ვერცხლისა ვერცხლის ძეწკვით და მეორე ოქრომკედით ნაქარგი შალისა.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

## კალენდარი

### სამშაბათი, თებერვლის 27

ყველიერის სამშაბათი

ქართვ. ღ. მამისა ჩვენისა და ღმსარებელისა პროკოფი დეკაპოლელისა.

კათოლ. წმ. ლეონარდისი ფორტუნატესი.

სომეხ. წმ. ლეონდიანე დეკანოზისა.

მაჰმად. სე-შაბბ 28 რ. ჯემადულევველისა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშიშ 28 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყ. შექ.

### ოთხშაბათი, თებერვლის 28

ყველიერის ოთხშაბათი (ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია ყველით და კვერცხით).

ქართვ. ღირსისა მამისა ჩვენისა ბასილისა თანამოღვაწის წმ. პროკოფისა.

კათოლ. წმ. რომანისა და რუფინისი.

სომეხ. მარხვა.

მაჰმად. ჩარ-შამბე 29 რ. ჯემადულევველისა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომრევიყი 26 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყ. შექ.

## გარეშე ცნობა

სასტუმრო სასადილოების მოსამსახურეთა გაფიცვის გამო.

21 თებერვალს შესდგა თბილისის სასტუმროების, მოედნულ ოთახების, სასადილოების და სხვათა პატრონთა საგანგებო კრება ს. გიგინეიშვილის თავმჯდომარეობით.

განსახილველი იყო მოსამსახურეების და მზარეულების მოთხოვნილება.

მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: 1917 წელს მოსამსახურეების და მზარეულების მიერ იყო წამოყენებული სხვა და სხვა მოთხოვნილება. იგი განიხილა მომრიგებელმა კამერამ, რომელიც შესდგებოდა: სასტუმროების, სასადილოების და სხვათა პატრონთა მხრით და მოსამსახურეების წარმომადგენელთაგან. თავმჯდომარეობდა მუშათა საბჭოს წევრი ვ. ს. ჩხეიძე. ამ კომისიამ შეიმუშავა დადგენილება, რომელიც მიღებული იყო ორივე მხარის. ორი კვირის შემდეგ მზარეულებმა პატრონებს წარუდგინეს ახალი მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი გადაეცა განსახილველად მუშათა საბჭოსთან არსებულ მომრიგებელ კამერას, რომელმაც გამოიტანა თავისი გადაწყვეტილება, ესეც მყისვე განხორციელდა. ამ ზემოხსენებულის ორის დადგენილების თანახმად, ეძლეოდათ ჯამაგირები თვეში: უფროსს მზარეულს — 250—300 მანეთამდე, მათ თანაშემწეებს 150—200 მანეთამდე, დანარჩენ სამზარეულოში მოსამსახურეთ 40—150 მანეთამდე ყოველივე ხარჯის ზევით. ხელზე მოსამსახურენი ე. ი. ოფიციანტები, თუმცა განსაზღვრულს ჯამაგირს არ იღებდნენ, მაგრამ იგინი იღებდნენ 15 პროცენტს დანახარჯის ქვითრებზე, მხოლოდ სტუმრისაგან. ასე რომ ეს უკანასკნელნი ღებულობდნენ 200—300 მანეთამდე თვეში, სმა-ჭამით.

იანვრის პირველ რიცხვებში მოსამსახურეებმა წარუდგინეს ახალი მოთხოვნილება, თან დასძინეს, თუ არ იქნება იგი დაკმაყოფილებული, გავიფიცებითო. ისინი თხოულობენ: მოსამსახურენი 20 პროცენტს ნავაჭრიდან, მეკარეები 10 პროცენტს თვითეულ დაქირავებულ მორთულ ოთახიდან. მზარეულები გარდა ზემოხსენებულის ჯამაგირისა 5 პროცენტს სამზარეულოდან გამოსულ სანოვაგიდან, მეკარეები 20 კაპეიკს სტუმრის ნივთების შესანახს, კომისიონერები 30 მანეთს თვეში და თითო მანეთს ქალაქში გაგზავნისათვის. ყოველივე ეს შეადგენს 40 პროცენტს. გარდა ამისა, სავაჭრო დაწესებულებათა პატრონნი იხდიან სხვა და სხვა ჯამაგირს, რადგან ჰყავთ სხვა მოსამსახურენიც როგორც ბუჰალტერი, მოურავი, მეეზოვე, ჭურჭლის დამრეცხავი, მოსარეცხე და სხვა. ეს უკანასკნელი ჯდება თვეში არა ნაკლებ 15 პროცენტისა, ჭამა სმით.

ამ გვარად, სასტუმროების და სხვათა პატრონთ რომ დააკმაყოფილონ ახალი მოთხოვნილება, მაშინ მათ მოუხდებათ 55 პროცენტის გადახდა ნავაჭრიდან. დანარჩენ 45 პროცენტიდან პატრონმა უნდა იხადოს სხვა და სხვა გადასახადი, როგორც ხაზინის, ისე სათემქალაქო, აძლიოს ქირა სახლისა, შეიძინოს სანოვაგე და საჭირო საგნები და სხვ. რადგანაც ზემოხსენებული გადასახადი აუტანელი არის, ამისთვის საზოგადო კრებამ დაადგინა: წინადადება მიეცეთ მოსამსახურეთ და მზარეულთ იმსახურონ იმ პირობებში, რომელიც იყო შემუშავებული მომრიგებელ კამერების, თუ არ დასთანხმდებიან მაშინ გადაეცემა ყველანი ჯამაგირზე, ხოლო ჯამაგირის რაოდენობის შემუშავება მიენდოს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოსთან არსებულ მომრიგებელ კამერას.

ამის თაობაზე უნდა მომხდარიყო შეთანხმება. ორთავე მხრიდან იყო არჩეული ათ-ათი კაცი. ამ არჩეულ პირთ 22 ამა თებერვალს ჰქონდათ სხდომა სას. გიგინეიშვილის თავმჯდომარეობით. დიდი კამათი გამოიწვია პირველმა მუხლმა მოთხოვნილებისამ, სადაც ნათქვამია მეკარეებს მიცეთ 10 პროცენტი ნომრის შემოსავლიდან. თხოულობდნენ რათა მეკარეები გადასულიყვნენ ჯამაგირზედ, მოსამსახურეთა წარმომადგენლები თხოულობდნენ 10 პროცენტს ნომრების შემოსავლიდან. არც ერთმა მხარემ არ დაუთმო მეორეს, ასე რომ მოლაპარაკე მხარეთა შორის შეთანხმება არ მოხდა და დაიშალნენ.

ეს საქმე გადაეცა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოსთან არსებულ მომრიგებელ კამერას, მაგრამ მოსამსახურეები მაინც გაიფიცნენ.

დოქტორი ქ. ლეონიძე
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
წამლობს, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებს ... მიიღებს
დილით 8—9-მდე საღამოს 5—7.
... № 17—21.

კანტორა—წიგნის მაღაზია
განათლება
უგზავნის თავის აგენტებს შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „საქართველოს“, „ერთობას“, „სახალხო საქმის“, „ალიონს“, „თეატრი და ცხოვრებას“, „სოფლის მუშას“, „Борьба“-ს, „Республика“-ს „პრომეთეოს“ და სხვებს. კანტორაში იყიდება აგრეთვე შემდეგი ახლად გამოსული წიგნები: ნოე რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმი“, ლეო ქიაჩელის მოთხრობა „წითელი გოლიათი“, და რუსულიდან მიღებული რუსული ბროშურები. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, почт. ящикъ № 96. Сильвестру Р. Таварткиладзе. ტელეფონი № 44. 5—919—4